www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3126 (219) | ფასი 50 თეთრი

"ნაციონალური მოძრაობა" ოპოზიციაში გადადის

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში "ქართული ოცნების" გამარჯვება აღიარა და განაცხადა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ოპოზიციაში გადადის. როგორც სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვაში აღნიშნა, წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ აშკარაა, რომ არჩევნებში უპირატესობა მოიპოვა კოალიცია "ქართულმა ოცნებამ".

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"ქართული ოცნება" მინისტრთა კაბინეტის შედგენაზე მუშაობას დღეიდან დაიწყებს

"ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა და მომავლის გეგმებზე ისაუბრა. ივანიშვილის განცხადებით, ქართული ოცნება" მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაზე ჩამოყალიბებული არ არის და მისი გუნდი მინისტრთა კაბინეტის შედგენაზე მუშაობას დღეიდან დაიწყებს.

"გუნდის წევრებიდან არავინ იცის, ვის რას ვუპირებთ. ძველი მთავრობის არც ერთი წევრი, მათ შორის, ვანო მერაბიშვილი, ახალ მთავრობაში არ იქნება," - აღნიშნა ივანიშვილმა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

არჩევნების შედეგები 3 ოქტომბრის დამდეგისთვის

2 ოქტომბრის 24:00 საათის მონაცემებით, 3766 საარჩევნო უბნიდან, ცესკო-ს უკვე დათვლილი ჰქონდა 3542-ის მონაცემები, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 95 პროცენტი. საარჩევნო კომისიის მონაცემით, 3 418 789 ამომრჩევლიდან საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 036 575-მა ამომრჩეველმა. სწორედ მათ გადაწყვიტეს არჩევნების ბედი, რომლის მიხედვით, პროპორციულ არჩევნებში კოალიციამ "ბიძინა ივანიშვილი - ქართულმა ოცნებამ" ხმების უპირატესი რაოდენობა მიიღო - 55.08 პროცენტი, ხოლო "ნაციონალურ მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს" ამომრჩეველთა 40,14-მა პროცენტმა გამოუცხადა ნდობა. ამ რიცხვებში შედიოდა საზღვარგარეთიდან შემოსული საარჩევნო ხმებიც. ცესკო-ს მონაცემებით, საქართველოს ემიგრანტი მოქალაქეების 46 პროცენტის ხმა მიიღო "ქართულმა ოცნებამ", ხოლო 49,24 პროცენტი - "ნაციონალურმა მოძრაობამ".

ცესკო-მ გუშინვე დაითვალა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები. ოფიციალური მონაცემებით, აჭარის უმაღლეს ორგანოში პროპორციული მანდატების 49,7 პროცენტი ექნებათ "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს, ხოლო 43,8 პროცენტი - "ნაციონალური მოძრაობის" წევრებს.

მაჟორიტარები

მაჟორიტარების პროცენტები ასე გადანაწილდა:

თბილისის ათივე საარჩევნო უბანში "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატებმა გაიმარჯვეს:

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"საქართველომ დემოკრატიის ტესტი ჩააბარა"

საერთაშორისო მისიების შეფასება

დათო გამისონია

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHIR), ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციებმა გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მათ 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ წინასწარი დასკვნა გამოაქვეყნეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606⇓
1 ევრო	2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294⇓
1 თურქული ლირა	0.9089⇓
100 რუსული რუბლი	5.1422⇓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

მკაცრი რეზოლუცია რუსეთისთვის

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა

ხათუნა გაბიევი

რუსულ პანკჯგუფ "Pussy Riot"-ს კიდევ ერთი მხარდამჭერი გამოუჩნდა, ამჯერად გოგონების ინტერესების გათვალისწინებით ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც რუსეთის ფედერაციაში მონიტორინგის გაგრძელებას ითვალისწინებს. ევროპარლამენტმა ასევე მოუწოდა რუსეთს გადახედოს პანკი გოგონებისთვის გამოტანილ განაჩენს. სტრასბურგში ღიად აღნიშნეს, რომ რუსეთმა არ შეასრულა საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებები. კერძოდ, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას რუსეთმა განაცხადა, რომ გააუქმებდა სიკვდილით დასჯას, მაგრამ დე იურედ სასჯელის ეს ფორმა გაუქმებული დღემდე არ არის.

ზოგადად, სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსეთს რომ კარგი დღე არ დაადგებოდა, ამას მოსკოვში კარგა ხნით ადრეც ხვდებოდნენ და სწორედ ამიტომ განაცხადა კიდეც უარი სტრასბურგში გამგზავრებაზე სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა სერგეი ნარიშკინმა (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი").

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დასრულდა

ლაშა ჩხარტიშვილი

30 სექტემბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ბოლო წარმოდგენა "დადადადან ტენკო" მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა. იაპონური დრამ შოუ, რომელიც კომპაია "ჯირაია პროდაქშენმა" მოამზადა ფესტივალის ბოლო აკორდი აღმოჩნდა. წარმოდგენა ევროპული მოდერნიზმის და იაპონური თეატრალური ტრადიციის სინთეზია, ამავდროულად ის გაჯერებულია კაბუკის ელემენტებითაც.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

სცენა მექსიკური სპექტაკლიდან "იქნებ, იქნებ"

"ნაციონალურმა მოძრაობამ" შიდაპარტიული შეხვედრა გამართა

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარტიის ლიდერებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა. პრეზიდენტთან დახურულ კარს მიღმა შეხვედრა გუშინ 17:00 საათზე დაიწყო და 2 საათს გაგრძელდა. პრესსამსახურში აცხადებენ, რომ არ იციან, თუ რა იყო შეკრების მიზანი და რა საკითხებზე ისაუბრეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი, უშიშრობის საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი, ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი ვახტანგ ბალავაძე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ეკა ზღულაძე, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე შოთა უტიაშვილი.

შეხვედრაზე პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატები და "ნაციონალური მოძრაობის" სხვა წევრებიც იმყოფებოდნენ. ოფისში ყოფილი მინისტრები - ბაჩო ახალაია და ხათუნა კალმახელიძეც მივიდნენ.

დიმიტრი მედვედევი: საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი ბევრად მრავალფეროვანი გახდება

"საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებამ აჩვენა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას ცვლილებები სჭირდება" - ამის შესახებ, "რია ნოვოსტის" ცნობით, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა. მისი შეფასებით, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი ბევრად მრავალფეროვანი გახდება.

"არჩევნების შედეგები მოწმობს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას ცვლილებები სჭირდება. თუ ეს შედეგები რეალური გახდება, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი ბევრად მრავალფეროვანი იქნება. ეს მხოლოდ მისასალმებელია და იმას ნიშნავს, რომ პარლამენტში გაცილებით კონსტრუქციული და პასუხისმგებლობის მქონე ძალები შევლენ," - განაცხადა მედვედევმა და აღნიშნა, რომ "ედინაია როსია", როგორც რუსეთის წამყვანი პოლიტიკური ძალა, რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე დიალოგისთვის მზად არის.

"ჩვენ მუდმივად გვქონდა კონტაქტი საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან," - დასძინა მედვედევმა.

"საქართველომ დემოკრატიის ტესტი ჩააბარა"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დოკუმენტის შედგენაში გრძელვადიან და მოკლევადიან მისიებში ჩართული ექსპერტები მონაწილეობდნენ. დასკვნაში აღწერილია არჩევნების წინა ისტორია, საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ბაზა, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, ამომრჩეველთა რეგისტრაციის საკითხები, ასევე საარჩევნო კამპანიისთვის შექმნილი გარემო და კამპანიის დაფინანსების საკითხები. წინასწარ დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, მედიაგარემოს შესახებაც არის ნათქვამი.

დასკვნაში ცალკე თავი არჩევნების დღეს ეთმობა და აღნიშნულია, რომ არჩევნების დღემ ქვეყნის მასშტაბით წყნარ და მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. საერთაშორისო დამკვირვებლები დღის ყველა ეტაპზე პროცედურების შესრულებას მთლიანობაში დადებითად აფასებენ, თუმცა ხმების დათვლის პროცესს ნაკლებად პოზიტიურ შეფასებას აძლევენ. მონახულებული უბნების ერთ მეექვსედში კი დამკვირვებლები ხმის დათვლის პროცესს ნეგატიურად აფასებენ. ზოგ უბანში კი ოქმზე წინასწარ ხელმოწერის შემთხვევებსა და ბიულეტენების ჩაყრაზეც მიუთითებენ.

რაც შეეხება პროცედურულ პრობლემებს, როგორც დასკვნაშია მოცემული, საერთაშორისო დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ ამომრჩევლები თავიანთ არჩევანს ყოველთვის ფარულად არ აკეთებდნენ. ამასთან, მონახულებული უბნების 5 პროცენტში ჯგუფურად ხმის მიცემის ფაქტები აღმოაჩინეს. ხოლო, უბნების (რომელიც მისიამ მოინახულა) 7.5 პროცენტში გარკვეული რაოდენობის ადამიანების გვარები ამომრჩეველთა სიაში არ აღმოჩნდა.

სადამკვირვებლო მისიები საბოლოო ყოვლისმომცველ ანგარიშს მოგვიანებით გამოაქვეყნებენ. თითოეული დელეგაცია დამოუკიდებელი დღის წესრიგით იმოქმედებს. ODIHIR-ი ვრცელ ანგარიშს, რომელშიც არჩევნების პროცესების გაუმჯობესების პოტენციური გზების შესახებ რეკომენდაციებიც შევა, 8 კვირის შემდეგ გამოაქვეყნებს. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს 6 ოქტომბერს, მუდმივი კომიტეტის სხდომაზე წარადგენს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საბოლოო შეფასება კი იანვარში ასამბლეის სხდომაზე გახდება ცნობილი. ევროპარლამენტის დელეგაცია ანგარიშს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მორიგ სხდომაზე გამოაქვეყნებს. ხოლო, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ანგარიშს ნოემბერში ყოველწლიურ სესიაზე წარადგენს.

საბოლოო შეფასებამდე კი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები მიიჩნევენ, რომ საქართველომ 1-ლი ოქტომბრის არჩევნებით დემოკრატიული არჩევნების კონსოლიდირებულად ჩატარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ რამდენიმე საკვანძო საკითხი მოსაგვარებელი რჩება. **"საბოლოო ჯამში, საქართველომ დემოკრატიაში ტესტი ჩააბარა,"** - აცხადებენ დელეგაციების წარმომადგენლები. ოდირის დელეგაციის ხელმძღვანელ თომას რაიმერის აზრით, **არჩევნებმა ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტების როლი და მათი პროფესიონალური და მიუკერძოებელი საქმიანობა."**

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი ტონინო პიკულა ამბობს, რომ მიუხედავად მკვეთრად პოლარიზებული კამპანიისა, რომელიც უხეშ რიტორიკასა და ნაკლოვანებებს შეიცავდა, ქართველმა ხალხმა საარჩევნო ყუთთან თავისი ნება თავისუფლად გამოხატა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელი ლუკა ვალონტე მომავალ ნაბიჯებზე აკეთებს აქცენტს და აღნიშნავს, რომ ახალ პარლამენტში უმრავლესობამ და ოპოზიციამ პასუხისმგებლობა უნდა აიღონ და თავიანთი ძალები ნაკლოვანებების გამოსწორებასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას მოახმარონ. მისი თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ახალ პარლამენტში წარმოდგენილ ყველა ძალასთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი ასენ აგოვი ფიქრობს, რომ დელაგაცია დემოკრატიულ პროცესებში საქართველოს სრული ჩართულობის მოწმე გახდა. **"ჩვენზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ მასობრივი აქციები მშვიდობიანად მიმდინარეობდა,"** - ამბობს აგოვი.

ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი მილან კაბრნოცი საქართველოს ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან პარტნიორად ახასიათებს და აცხადებს, რომ ევროკავშირი მას დემოკრატიისა და რეფორმების გატარებაში მტკიცედ დაუჭერს მხარს.

საერთაშორისო დელეგაციების განცხადებაში პოლიტიკურ ოპონენტებს შორის გაჩენილი უნდობლობის ჩამოყალიბების მიზეზებიც განმარტებულია. **"გაერთიანების, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება მთლიანობაში დაცული იყო, თუმცა პარტიის აქტივისტებისა და მხარდამჭერების მიმართ ძალადობა და მათი დაშინება საარჩევნო გარემოზე უარყოფითად აისახებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის შემთხვევები უმეტესად ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერების დაკავებითა და დაჯარიმებით მთავრდებოდა,"** - ნათქვამია განცხადებაში. დამკვირვებლები ასევე აღნიშნავენ, რომ საარჩევნო კამპანიის დროს უფრო მეტი მნიშვნელობა კანდიდატების თანამდებობრივ უპირატესობას და ფინანსურ აქტივებს ეთმობოდა, ვიდრე პოლიტიკურ პლატფორმებსა და პროგრამებს.

დოკუმენტი არჩევნების ორგანიზების საკითხსაც მოიცავს. მასში ნათქვამია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მაღალი ნდობით გამოირჩეოდა, ხოლო ცესკო-ს საქმიანობა - გამჭვირვალობით.

მისიები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სამართლებრივი სისტემა დახვეწას საჭიროებს. ოდირი და ევროსაბჭო მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებასთან ნაყოფიერ თანამშრომლობას გააგრძელებენ.

NDI და IRI არჩევნების შესახებ

გუშინ არჩევნების შესახებ წინასწარი შეფასებები მედიას NDI-ს და IRI-ს მისიების წარმომადგენლებმაც გააცნეს. NDI-ს სადამკვირვებლო დელეგაციის ხელმძღვანელმა კენეტ ვოლაკმა, რომელიც ორგანიზაციის პრეზიდენტია, აღნიშნა, რომ 1-ლი ოქტომბრის არჩევნები ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე კონკურენტული იყო და პლურალისტური საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბების მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია. მისივე თქმით, სერიოზული პრობლემების მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო პროცესმა უმეტესწილად მოქალაქეებს საშუალება მისცა, ინფორმირებული არჩევანი გაეკეთებინათ და პოზიცია საარჩევნო ყუთთან გამოეხატათ. ვოლაკი კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას. **"საბოლოო შედეგების მიუხედავად, მოგებულ პარტიას, სავარაუდოდ, კონსტიტუციური უმრავლესობისთვის საჭირო 75 პროცენტი არ ექნება და კონსულტაციებსა და ჩართულობაზე დაფუძნებული საკანონმდებლო პროცესის განვითარება დასჭირდება,"** - აღნიშნავს NDI-ს პრეზიდენტი და საქებარ სიტყვებსაც არ იშურებს: **საქართველოს მოქალაქეები, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სამოქალაქო დამკვირვებლები საარჩევნო პროცესში შეტანილი წვლილის გამო ქებას იმსახურებენ. ახლა არჩევნების პირველადი შედეგების პატივისცემის და კონსტრუქციულ დიალოგსა და შეთანხმების პროცესში ჩართვის პასუხისმგებლობა პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ."** მან აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ დასკვნის გაკეთება ჯერჯერობით შეუძლებელია.

IRI-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, კონგრესმენი დევიდ დრეიერი მიიჩნევს, რომ ქართველმა ამომრჩეველმა ყველაზე კონკურენტულ და სანდო საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. IRI-ს სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, იმ ენთუზიაზმმა და საყოველთაო ჩართულობამ, რაც ქართველმა ამომრჩეველმა გამოავლინა, არჩევნების ხარისხი მკვეთრად გააუმჯობესა.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია

დელეგაციების გარდა, გუშინ არჩევნების შესახებ აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა ისაუბრა. ის ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის მოხსენებას მიესალმა და აღნიშნა, რომ დაელოდება არჩევნების დასკვნით შეფასებას, რომელსაც დამკვირვებლები ხმების დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გააკეთებენ. თუმცა, ელჩმა არჩევნების შედეგების მიმართ თავისი პოზიცია გამოხატა. **გვინდა, მივულოცოთ ქართველ ხალხს საპარლამენტო არჩევნების წარმატებით ჩატარება. ეს დემოკრატიის განვითარების გაზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. მიგვაჩნია, რომ გუშინდელი არჩევნები ქართველი ხალხის გამარჯვება იყო,"** - განაცხადა ელჩმა.

ნორლანდის თქმით, ამ არჩევნებში თანაბარი ძალის პოლიტიკური სუბიექტები მონაწილეობდნენ და არჩევნების შემდეგ პარლამენტის სრულიად ახალი კონფიგურაცია და პოლიტიკურ სივრცეში ძალთა სრულიად ახალი გადანაწილებაა სახეზე. ნორლანდმა დასძინა, რომ აშშ მოუთმენლად ელის მჭიდრო თანამშრომლობას ახალ პარლამენტსა და ახალ მთავრობასთან, რაც, მისი თქმით, **აშშ-სა და საქართველოს შორის ისედაც ძლიერ ორმხრივ ურთიერთობას უფრო გააღრმავებს."**

რიჩარდ ნორლანდმა 1-ლი ოქტომბრის არჩევნები მიულოცა როგორც საკაშვილს, ასევე ივანიშვილს. **ვულოცავთ პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ მისი ხელმძღვანელობით საქართველომ დემოკრატიის გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ასევე გვინდა, მივულოცოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მისი კოალიციის წარმატება საპარლამენტო არჩევნებში. შეერთებული შტატები მოუწოდებს ორივე მხარეს, ითანამშრომლონ საქართველოს უკეთესი მომავლის ასაშენებლად,"** - აღნიშნავს ამერიკის ელჩი.

პარალელური დათვლის შედეგები

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" საპარლამენტო არჩევნების პარალელური დათვლის შედეგები წარმოადგინა. ორგანიზაციის მონაცემები ასეთია: "ქართული ოცნება" - 54.6 პროცენტი; "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 40.7 პროცენტი; "ქდმ" - 2 პროცენტი; "ლეიბორისტული პარტია"- 1.2 პროცენტი; "ახალი მემარჯვენეები"- 0.4 პროცენტი; დანარჩენები 1 პროცენტი.

როგორც "სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარემ ნინო ლომჯარიამ ჟურნალისტებს განუმარტა, ხმების პარალელური დათვლა, PVT-ს მეთოდოლოგიის საფუძველზე, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და ამ მონაცემების ცდომილების ალბათობა თითქმის არ არსებობს. ლომჯარიამ აღნიშნა, რომ ხმების პარალელური დათვლა მაჟორიტარული არჩევნების შედეგებს არ ითვალისწინებდა.

როგორც ლომჯარიამ განაცხადა, ამომრჩევლის აქტივობამ მთელი ქვეყნის მასშტაბით 61 პროცენტი შეადგინა. მისი თქმით, მოქალაქეთა აქტივობა იმას მიუთითებს, რომ საპარლამენტო არჩევნებში საზოგადოების ჩართულობა მაღალი იყო. ეს მაჩვენებელი ლომჯარიამ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებს შეადარა, რომლის დროსაც აქტივობა 53 პროცენტი იყო.

ნინო ლომჯარიამ არჩევნების პროცედურების დროს დაშვებულ ხარვეზებზეც ისაუბრა. მისი თქმით, უბნების 6 პროცენტზე მარკირების პროცედურა არასათანადოდ სრულდებოდა, ასევე იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები სხვა ამომრჩევლის ნაცვლად აძლევდნენ ხმას. როგორც ლომჯარიამ აღნიშნა, უბნების დახურვისა და ხმების დათვლის პროცედურის დროს დარღვევები დაფიქსირდა უბნების 4 პროცენტზე.

"დარღვევების პარალელურად, შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პროცედურები, წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, გამართულად მიმდინარეობდა. უბნების 98 პროცენტის შემთხვევაში, საარჩევნო მასალები საოლქო საარჩევნო კომისიებში გადასაგზავნად კანონით დადგენილი პროცედურებით დაილუქა. ხმის მიცემის ფარულობა დაცული იყო უბნების 98 პროცენტზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ზრდას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით," - განაცხადა ნინო ლომჯარიამ და დაამატა, რომ აღნიშნული მონაცემები "სამართლიანი არჩევნების" მიერ ჩატარებული პარალელური დათვლის საბოლოო შედეგებია.

"სამართლიანი არჩევნების" სადამკვირვებლო მისიაში 1 271 გადამზადებული დამკვირვებელი იყო, რომლებიც პროცედურების მიმდინარეობებს, მათ შორის - ხმების დათვლის პროცედურებს, მთელი საქართველოს მასშტაბით როგორც საუბნო, ისე საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აკვირდებოდნენ.

გარდა ამისა, ხმების პარალელური დათვლის შედეგები წარმოადგინა ორგანიზაციამ "ახალი თაობა - ახალმა ინიციატივამ". ორგანიზაციის მიხედვით, ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" 55,23 პროცენტით ლიდეროობს. მეორე ადგილზეა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს" - 39, 55 პროცენტი. მას მოსდევს "გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება" - 1,95 პროცენტი, "შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია" - 1,24 პროცენტი, "ახალი მემარჯვენეები" - 0,42 პროცენტი.

ორგანიზაციის წარმომადგენელ ქეთევან ჩაჩავას განცხადებით, ხმების პარალელური დათვლის პროცესში საერთაშოროსო ორგანიზაცია "ბალტიკ სერვისი" მონაწილეობდა, მთლიანად საარჩევნო პროცესს კი ორგანიზაციის 1 200 დამკვირვებელი აკვირდებოდა.

ჩაჩავას თქმითვე, ამ მონაცემებში შედის ხაშურის ოლქის მონაცემებიც, თუმცა მან აღნიშნა, რომ იქ ადგილი ჰქონდა გარკვეულ ექსცესებს. ქეთევან ჩაჩავას ინფორმაციით, საარჩევნო კომისიის სხვადასხვა ადმინისტრაციებში 40-მდე საჩივარი შევიდა.

არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევები და ხმების პარალელური დათვლის შედეგები ჟურნალისტებს "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომაც" გააცნო. ორგანიზაციის თავმჯდომარის ეკატერინე გიგაურის მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ხმების 39,5 პროცენტი მიიღო; "ქართულმა ოცნებამ" - 55,9; "ქდმ"-მ - 1,9; "ლეიბორისტულმა პარტიამ" კი - 1,3.

გიგაურის განცხადებით, ეს არის "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ საქართველოს მასშტაბით 300 საარჩევნო უბანზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგი, სადაც ხმების დათვლის პროცედურას 420 დამკვირვებელი აკვირდებოდა.

ეკა გიგაურმა საარჩევნო პროცედურის დროს დაფიქსირებული დარღვევებიდან მარკირების პროცედურისას არსებული პრობლემა გამოყო. მისი თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც კენჭისყრა მარკირების გარეშე მიმდინარეობდა. გიგაურმა კონკრეტულად ქობულეთის საარჩევნო ოლქი დაასახელა, სადაც 70-მა ადამიანმა ხმა ამ პროცედურის გარეშე მისცა.

დარღვევებს შორის "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" დააფიქსირა შემთხვევები, როდესაც არჩევნებზე მისულ ადამიანს თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერა უკვე გაკეთებული ხვდებოდა. გიგაურის თქმით, აღნიშნული დარღვევები მასობრივ ხასიათს ატარებდა აჭარაში.

ასევე, ეკა გიგაურმა საარჩევნო პროცედურის დარღვევებს შორის ის შემთხვევები გამოყო, როდესაც ხმას პირადობის მოწმობების გარეშე აძლევდნენ და საარჩევნო უბნებიდან ბიულეტენების გატანა ხდებოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან დარღვევებს შორის გიგაურმა ხაშურის საარჩევნო უბნებზე მომხდარი ინციდენტები დაასახელა. მისი თქმით, აღნიშნულ საარჩევნო ოლქში, მათი დამკვირვებლების ინფორმაციით, "ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა, თუმცა, შსს-ს სპეცრაზმის თანამშრომლების შესვლის შემდეგ ბიულეტენები შეიცვალა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"ნაციონალური მოძრაობა" ოპოზიციაში გადადის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ეს იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა. მე, როგორც პრეზიდენტი, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, ხელს შევუწყობ პროცესს, რომ ახალმა პარლამენტმა დაიწყოს მუშაობა, შეძლოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა და ჩამოყალიბდეს ახალი მთავრობა," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. საქართველოს პრეზიდენტმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ მისთვის "ქართული ოცნების" შეხედულებები მიუღებელი იყო და არის.

"ჩვენს შეხედულებებში ფუნდამენტური განსხვავებაა და მიგვაჩნია, რომ ამ კოალიციის შეხედულებები უკიდურესად მცდარია. თუმცა, დემოკრატია ნიშნავს იმას, რომ ქართველი ხალხი უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რასაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ პატივს ვცემთ," - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

მან, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა, განაცხადა, რომ მისი პარტია ოპოზიციაში გადადის.

"ბოლო რვა წლის მანძილზე ვარდების რევოლუციის მონაპოვარი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისთვის. ეს არის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი. ამ მონაპოვარმა საქართველო აქცია დანარჩენი მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ძალიან საკვანძო ქვეყნად. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, საბოლოო ჯამში, როგორი საფრთხეც არ უნდა შეექმნას ამ მონაპოვრებს უახლოეს თვეებში ან წლებში, მათი მოსპობა შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენ, როგორც ოპოზიციური ძალა, ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის, ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ყველაფერი, რაც ბოლო წლებში შეიქმნა კორუფციასთან ბრძოლის, დანაშაულთან ბრძოლის, საქართველოს გათანამედროვეობის, ახალი ინსტიტუტების აშენების კუთხით, მაქსიმალურად დავიცვათ, შევუნახოთ მომავალთაობებს და შევძლოთ საქართველოს შემდგომი გაგრძელება ყველა კონსტიტუციური და პოლიტიკური პროცესების შედეგად," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან მადლობა გადაუხადა საკუთარ ამომრჩევლებს და აღნიშნა, რომ პატივს სცემს უმრავლესობის არჩევანსაც. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, საქართველოს განვითარებას და პროგრესს მომავალში ალტერნატივა მაინც არ ექნება.

"ყველა გავაგრძელებთ ბრძოლას სწორედ ამ რწმენით, როგორიც არ უნდა იყოს დღევანდელი დღის გამოწვევები," - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

"ქართული ოცნება" მინისტრთა კაბინეტის შედგენაზე მუშაობას დღეიდან დაიწყებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურას, ივანიშვილის თქმით, გადაწყვეტილება არც ამ თემაზეა მიღებული და საარჩევნო სიაში კახი კალაძის პირველ ნომრად ყოფნა ავტომატურად თავმჯდომარეობას არ ნიშნავს. ივანიშვილმა თავის მომავალ პრემიერ-მინისტრობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს საპენსიო თანამდებობა აღარ იქნება. "ქართული ოცნების" ლიდერის თქმითვე, მიხეილ სააკაშვილს თამაშის გაგრძელების შანსი არა აქვს და მისი მხრიდან ლოგიკური ნაბიჯი იქნება გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთება.

"რადგან შეძლო და არჩევნებში დამარცხება აღიარა, მისი ლოგიკური გაგრძელება და კიდევ ერთი სვლა იქნება, თუ ის დაწერს განცხადებას, გადადგება და დანიშნავს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს," - განაცხადა ივანიშვილმა.

იგი არ გამორიცხავს, რომ "ქართული ოცნების" საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მილოცვა რუსეთიდანაც მიიღოს. ივანიშვილის თქმით, პუტინის ზარის შემთხვევაში ეტყოდა, რომ შეეცდება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. რაც შეეხება კანონიერი ქურდების დაბრუნებას, ივანიშვილი ამბობს, რომ ამ კითხვის დასმის საფუძველი არ არსებობს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ ისინი შურისძიებას და რევანშის აღებას არ აპირებენ და სააკაშვილის ხელისუფლების მომხრეების და წევრების პოლიტიკური დევნა არ დაიწყება. მან მოითხოვა მოქალაქეობის დაბრუნება, ასევე თამაზ თამაზაშვილის გათავისუფლება.

გარდა ამისა, "ქართული ოცნების" ლიდერმა თქვა, რომ ქალაქ ლაზიკას აშენების არც საჭიროებაა, არც სახსრები და საერთოდ, გაუგებარია, რატომ უნდა აშენდეს ქალაქი ჭაობზე და ვინ უნდა იცხოვროს იქ, როდესაც ნახევარი საქართველო დაცლილია.

"მეგრელების სათაყვანებელი სიტყვა "ლაზიკა" სააკაშვილმა სასაცილო გახადა და ეს ყველაზე დიდი ანეკდოტია, რომელსაც ეს კაცი ყვება," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და ეჭვი გამოთქვა, რომ მას "ბიუჯეტში კატასტროფა დახვდება". მისივე თქმით, აქვს სათადარიგო სვლები, რათა საარჩევნო კამპანიის პერიოდში გახმოვანებული პროექტები განახორციელოს და ის მოსახლეობას დანაპირებს აუცილებლად აუსრულებს.

ამასთან, როგორც "ქართული ოცნების" ლიდერმა განაცხადა, რადგან საპარლამენტო სხდომების ქუთაისში ჩატარების ვალდებულება კანონით არის განსაზღვრული, ისინი ამ ვალდებულებას დაემორჩილებიან.

არჩევნების შედეგები 3 ოქტომბრის დამდეგისთვის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მთაწმინდაზე - ზაზა პაპუაშვილმა 61,54 პროცენტით; ვაკეში - შალვა შავგულიძემ 72.1; საბურთალოზე - დავით უსუფაშვილმა 68.84; კრწანისში - შოთა ხაბარელმა 58.14; ისანში - ალექსანდრე ქანთარიამ 63.4; სამგორში - ზურაბ აბაშიძემ 65.63; ჩუღურეთში - ვიქტორ დოლიძემ 67.57; დიდუბეში - ვახტანგ ხმალაძემ 74.7; ნაძალადევში - თეა წულუკიანმა 72.18; გლდანში - იოსებ ჯაჭვლიანმა 68.36.

"ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ - მეტი სარგებელი ხალხს" უპირატესი უმრავლესობით გაიმარჯვა გურჯაანში - გიორგი ღვინიაშვილმა 51.28; ლაგოდეხში - გიორგი გოზალიშვილმა 56.99; ყვარელში - მარიკა ვერულაშვილმა 50.15; გარდაბანში - გიორგი ფეიქრიშვილმა 56.39; მარნეულში - აზერ სულეიმანოვმა 80.81; ბოლნისში - კობა ნაყოფიამ 73.45; დმანისში - კახაბერ ოქრიაშვილმა 74.52; წალკაში - რევაზ შავლოხაშვილმა 69.38; გორში - გიორგი ტატიშვილმა 49.1; ახალციხეში - ვაჟა ჩიტაშვილმა 80.37: ადიგენში - ზურაბ ჩილინგარაშვილმა 70.77; ახალქალაქში - სამველ პეტროსიანმა 77.8; ნინოწმინდაში - ენზელ მკოიანმა 83.52; ცაგერში - სერგო ხაბულიანმა 69.64; ლენტეხში - გოგი ლიპარტელიანმა 69.74; ვანში - პაატა ლეჟავამ 61.64; წყალტუბოში - აკაკი ბობოხიძემ 51.42; აბაშაში - დავით დარცმელიძემ 58.8;

სენაკში - გურამ მისაბიშვილმა 57.1; მარტვილში - ნაული ჯანაშიამ 53.34; ხობში - გოდერძი ბუკიამ 55.15; ზუგდიდში - როლანდ ახალაიამ 55.98; წალენჯიხაში - ლევან ქარდავამ 63.86; ჩხოროწყუში - ვახტანგ ლემონჯავამ 59.12; ქედაში - იაშა შერვაშიძემ 49; შუახევში - ომარ მეგრელიძემ 62.41; ხელვაჩაურში - როსტომ ხალვაშმა 63.65; ხულოში - ანზორ ბოლქვაძემ 57.46 პროცენტით.

კოალიციამ "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" გაიმარჯვა: თელავი - გელა სამხარაული 47.65 პროცენტით; საგარეჯო - თინათინ ხიდაშელი (55.5); ახმეტა - ზურაბ ზვიადაური (51.04); თიანეთი - ზაქარია ქუცნაშვილი (58.97); რუსთავი - ზვიად ძიძიგური (54.16); მცხეთა - დიმიტრი ხუნდაძე (61.23); დუშეთი - ერეკლე ტრიპოლსკი (61.99); ყაზბეგი - მირიან წიკლაური (69.91); კასპი - დავით ონოფრიშვილი (54.61); ქარელი - ლერი ხაბელოვი (51.16); ბორჯომი - გედევან ფოფხაძე (55.74); ხარაგაული - ნოდარ ებანოიძე (47.81); საჩხერე - მანანა კობახიძე (92.58); ზესტაფონი - გიორგი ქავთარაძე (58.92); ბაღდათი - არჩილ კბილაშვილი (49.3); სამტრედია - კახა კალაძე (53.4); ჭიათურა - მალხაზ წერეთელი (70.98); ტყიბული - ელისო ჩაფიძე (50.55); ქუთაისი - გუბაზ სანიკიძე (54.73); ოზურგეთი - ზვიად კვაჭანტირაძე (57.62); ლანჩხუთი - თეიმურაზ ჩხაიძე (62.72); ჩოხატაური - თეიმურაზ ჭკუასელი (51.19); ფოთი - ეკა ბესელია (58.31); ბათუმი მურმან დუმბაძე (59.11); ქობულეთი - ფატი ხალვაში (55.09).

დანარჩენ რეგიონებში "ნაციონალური მოძრაობის" და "ქართული ოცნების" ხმები თითქმის თანაბარი იყო. თერჯოლა - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს" კახა ბუცხრიკიძე (48.76); "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" ზაალ გოგსაძე (45.39). სიღნაღი - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ლევან ბეჟაშვილი (48.39), "ქართული ოცნება" გელა გელაშვილი (47.53); დედოფლისწყარო - "ნაციონალური მოძრაობა" ზაზა კედელაშვილი (49.67), "ქართული ოცნება" ალექსანდრე თამაზაშვილი (47.56). თეთრიწყარო - "ნაციონალური მოძრაობა" დავით ბეჟუაშვილი (47.89); "ქართული ოცნება" შალვა ხაჭაპურიძე (46.49); ონი - "ნაციონალური მოძრაობა" ვალერიან გავაშელი (47.08), "ქართული ოცნება" თამაზ ჯაფარიძე (50.64);

ამბროლაური - "ნაციონალური მოძრაობა" გოჩა ენუქიძე (48.46), "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" დავით დარახველიძე (46.3); მესტია - "ნაციონალური მოძრაობა" კანდიდ კვიციანი (44.63), "ქართული ოცნება" ვიქტორ ჯაფარიძე (49.82); ხონი - "ნაციონალური მოძრაობა" დავით ჭავჭანიძე (49.59), "ქართული ოცნება" ნიკოლოზ სანოძე (46.91).

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა, სადავო იყოს ხაშური, სადაც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატ სერგო ქიტიაშვილს ხმათა 48.17 პროცენტი აქვს, ხოლო "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" კანდიდატ ვალერი გელაშვილს 42.99 პროცენტი.

სერგი კაპანაძე ეუთო-ს დელეგაციას შეხვდა

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ინსტიტუტების ხელმძღვანელ იანის ლენარჩიჩს შეხვდა. შეხვედრაზე დიპლომატებმა საქართველოში შემდგარი საპარლამენტო არჩევნები და ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები განიხილეს. ასევე, კაპანაძის განცხადებით, შეხვედრაზე საქართველოს ეუთო-სთან ურთიერთობების განვითარების შესახებაც იმსჯელეს.

"ბუნებრივია, საუბრის მთავარი თემა იყო საქართველოში შემდგარი არჩევნები. ასევე, განვიხილეთ საქართველოს და ეუთო-ს ურთიერთობების მომავალი, როგორ უნდა განვითარდეს ეს ურთიერთობა, მათ შორის, ეუთო-ს საქართველოში ყოფნის საკითხი," - განაცხადა მინისტრის მოადგილემ ეუთო-ს დელეგატებთან შეხვედრის შემდეგ.

"მრავალეროვანი საქართველო": საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების დაცვით წარიმართა

საერთაშორისო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველოს" შეფასებით, საქართველოს საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების დაცვით წარიმართა. News.ge-ს ინფორმაციით, მოძრაობის სადამკვირვებლო მისიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია "მედიაცენტრში" შეკრებილ ჟურნალისტებს "მრავალეროვანი საქართველოს" წარმომადგენელმა ალექსანდრა კალატოზიშვილმა გააცნო. ორგანიზაცია მონიტორინგს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ახორციელებდა.

კალატოზიშვილის განცხადებით, მოძრაობის 352 დამკვირვებელს საშუალება მიეცა, საარჩევნო პროცედურას შეზღუდვებისა და ხელშემშლელი ფაქტორების გარეშე დაკვირვებოდა. როგორც კალატოზიშვილმა აღნიშნა, მიუხედავად საერთო დადებითი სურათისა, მათი დამკვირვებლების მიმართ მუქარის და უბანზე არშეშვების ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა.

"მრავალეროვანი საქართველოს" მონაცემებით, იყო შემთხვევები, როდესაც უბანზე ბიულეტენების რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიას არ შეესაბამებოდა. ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახად, რამდენიმე საარჩევნო უბანზე არ აღმოჩნდა შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი. კალატოზიშვილის განცხადებით, პროცედურულ დარღვევებს შორის უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი საარჩევნო უბნის დაგვიანებით გახსნა, ასევე კომისიის წევრებისთვის ფუნქციების გადანაწილება წილისყრის პროცედურის გარეშე.

"მიუხედავად გამოვლენილი ხარვეზებისა, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ საარჩევნო პროცესი შეესაბამებოდა გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს, რამაც უზრუნველყო ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ამომრჩევლებისთვის მათი პოლიტიკური ნების ხელშეუშლელად გამოვლენა," - განაცხადა ალექსანდრა კალატოზიშვილმა.

"რუსთავი 2"-ში "ქართული ოცნების" ორი აქტივისტი შეიჭრა

ჟურნალისტ თომა ჩაგელიშვილის ინფორმაციით, "რუსთავი 2"-ში "ქართული ოცნების" ორი აქტივისტი შეიჭრა და დებოში მოაწყო. ჩაგელიშვილის შეფასებით, "ღირებულებების დაცვა" დაიწყო.

"ორი მთვრალი "ოცნებელი" შემოვარდა "რუსთავი 2"-ში. ამ უბნელები ვართო და დებოში მოაწყვეს. მოკლედ, ახლა არ დაიწყოთ - პროვოკატორები იქნებოდნენ და ეგეთი რამე და "ოცნება" არაფერ შუაშიაო... ვინც "რუსთავი 2"-თან ომი დაიწყო, ძალიან ცუდად დაამთავრა. "ოცნებამაც" ცუდად დაიწყო, ვხედავ.... გამარჯვების პირველივე დღეს," - დაწერა თომა ჩაგელიშვილმა "ფეისბუქში".

მას ასევე სოციალური ქსელით გამოეხმაურა "ქრისტიან-დემოკრატი" ზაზა გაბუნია. მისი შეფასებით, თუ არსებობს სურვილი, რომ წარსულში დაშვებული შეცდომები, აწმყოს და თანამედროვეობის ნაწილადაც არ დარჩეს, მაშინ ბიძინა ივანიშვილი ახლავე უნდა დაინტერესდეს იმ აქტივისტების უპასუხისმგებლო ქცევით.

"წვრილმანებსაც უნდა მიექცეს ყურადღება, წვრილმანებით უნდა დაიწყოს ვითარების უკეთესობისკენ შეცვლა. თუ ახლავე არ ექნათ განცდა "ქართული ოცნების" წევრებს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევისა, მოსახლეობა მათ მიმართ ფხიზლად იქნება, მაშინ ის, რაც "ნაცმოძრაობის" მმართველობისას არ მოგვწონდა, განმეორებადი გახდება," - აღნიშნავს ზაზა გაბუნია.

თეთრიწყაროში "ქართული ოცნების" აქტივისტები შიმშილობენ

თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიასთან "ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის 20-მდე აქტივისტმა შიმშილობა დაიწყო.

ისინი მოითხოვენ თეთრიწყაროს #26 საოლქო საარჩევნო კომისიისგან სოფელ კოდასა და ქოსალაში საარჩევნო უბნების შედეგების გაუქმებას.

"ქართული ოცნების" აქტივისტები აცხადებენ, რომ აღნიშნულ უბნებზე საარჩევნო პროცესი დარღვევით მიმდინარეობდა.

ცნობისათვის - "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ არჩევნები მან მოიგო, თუმცა ცესკო-ს თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში მაჟორიტარული სისტემით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატი დავით ბეჟუაშვილი ლიდერობს.

"სიტისის" 3-წლიანი პროექტის შედეგები

"2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა და დაზარალებული მოსახლეობის ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, "კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრმა" ("სიტისი") სპეციალური სამწლიანი პროექტის განხორციელება 2010 წელს დაიწყო და ამა წლის ნოემბრის ბოლოს დაიხურება. პროექტის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. **"თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ პროექტი მესამე წელია წარმატებით მიმდინარეობს. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ჩვენს მიერ დაფინანსებული ბიზნესპროექტების 85 პროცენტი წარმატებულად ხორციელდება, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. გარდა ბიზნესიდან მიღებული შემოსავლისა, პროექტს სოციალური დატვირთვაც აქვს, მეწარმეები დასაქმდნენ და მომავლის იმედი გაუჩნდათ."** - აცხადებს "კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის" მიკრობიზნესის განვითარების ექსპერტი სოფიო კაჭახიძე.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, პროექტი ფარავს იძულებით გადაადგილებულ პირთა 10 კომპაქტურ ჩასახლებას და 5 სოფელს მცეთამთიანეთის, კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში. აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა და დაზარალებული მოსახლეობის ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტი USAID საქართველოს მისიის მიერ არის დაფინანსებული.

ამ პროექტის ფარგლებში ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრმა განახორციელა 14 ტრენინგი თემაზე მიკრობიზნესის ადმინისტრირება, რომელსაც 338 ადამიანი დაესწრო. ტრენინგი მოიცვდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სამიზნე მომხმარებელი და ბაზარი, ოპერაციათა მართვის საფუძვლები, საწარმოო სიმძლავრისა და მომარაგების ჯაჭვის მართვა, მარკეტინგული კომუნიკაცია და დისტრიბუცია, ბიუჯეტირება და მიკრობიზნესის ფინანსური შეფასება, პროდუქტი, ფასი და ა.შ. ტრენინგის მასალა მორგებული იყო მიკრობიზნესის ინტერესებს.

ტრენინგის დასრულების შემდეგ საგრანტო კონკურსი გამოცხადდა, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდა. პირველი იყო ბიზნესიდეების კონკურსი. მეორე ეტაპისთვის შერჩეულ კონკურსანტებს "სიტისის" სპეციალისტებმა ბიზნესგეგმების წერა შეასწავლეს და საუკეთესო ბიზნესგეგმები შეარჩიეს. დასკვნითი ეტაპი კი მონიტორინგს ითვალისწინებდა. ცენტრის ხელმძღვანელობა ადგილზე ჩადიოდა და ეცნობოდა, თუ რამდენად რეალური იყო ბიზნესპროექტში მოცემული ინფორმაცია.

სამი წლის განმავლობაში კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა, ჯამში, 210 მეწარმე დააფინანსა. გრანტის მაქსიმალური თანხა 1,500 აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა იყო 2-3 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფური პროექტებიც. ასეთ შემთხვევებში კონკურსანტები, შესაბამისად, 3000 ან 4500 აშშ დოლარს იღებდნენ. დაფინანსებულთა შორის 81 ქალი მეწარმეა, 63 - ახალგაზრდა და 12 - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. სამი წლის განმავლობაში "სიტისიმ" 237 902 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი გასცა. განხორციელებულ პროექტებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობა მეცხოველეობის სფეროდანაა - 40 პროცენტი, 13 პროცენტს შეადგენს სხვადასხვა სახის მიკროსაწარმოებისა და სახელოსნოების სექტორი, ხოლო პროექტების 11 პროცენტი აგრომომსახურების სფეროზე მოდის.

მცირე მეწარმეები, რომლებმაც საქმეს თავი წარმატებით გაართვეს და ბიზნესის განვითარებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსები ესაჭიროებოდათ, პროექტის ფარგლებში განმეორებით დაფინანსდნენ. მათ შორისაა მცირე მეწარმე იური ობოლაძე, რომელიც მეოთხე წელია წეროვანის დევნილთა ჩასახლებაში 9-სულიან ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

ახალგორიდან დევნილი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის ბიზნესის დაწყებას 2008 წლისთვის ახალგორში გეგმავდა, თუმცა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ამ ბიზნესზე ფიქრი წეროვანში დასახლების შემდეგ ისევ დაიწყო. **"ჩვენს დასახლებაში კოტეჯები საკმაოდ პატარაა და ოჯახების დიდმა ნაწილმა სახლებზე ოთახების მიშენება დაიწყო. მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებზე მოთხოვნა გაჩნდა. ჩავთვალე, რომ ბიზნესი ჩემთვისაც მომგებიანი იქნებოდა და მოსახლეობისთვისაც ხელსაყრელი, რადგან დევნილები საჭირო პროდუქციის მიღებას ადგილზე უფრო დაბალ ფასში შეძლებდნენ,"** - გვითხრა იური ობოლაძემ.

ბიზნესი საკუთარი მცირე დანაზოგით, ბანკის კრედიტითა და საზღვარგარეთ მცხოვრები მეგობრის დახმარებით დაიწყო. კოტეჯზე ოთახი მიაშენა, სამუშაო იარაღები და რამდენიმე სახის დანადგარი შეიძინა, თუმცა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა თანხის სიმცირის გამო ვეღარ შეძლო. "სიტისის" მიერ გამოცხადებული კონკურსის შესახებ ჩასახლებაში გამოკრული განცხადებით შეიტყო და გადაწყვიტა, ბედი ეცადა. **"პროექტი ძალიან დამეხმარა ჩემი იდეის სრულად განხორციელებაში. რომ არა დაფინანსება, საწარმოს ამუშავებას ალბათ დიდხანს ვერ შევძლებდი. გამარჯვების იმედი მქონდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი ბიზნესის წარმატებაში. გრანტის თანხით მშენებლობა დავასრულე და ძვირადღირებული სამუშაო დანადგარი შევიძინე, რომლის გარეშეც შეკვეთების მიღებას ვერ ვუზრუნველყოფდი. პირველი დაფინანსებით კოპირების პრეზი შევიძინე. მეორე დახმარებით კი - ბოშის დანადგარი და რამდენიმე ინსტრუმენტი. ნელ-ნელა საქმე წინ წავიდა. ამ ეტაპზე იმდენი შეკვეთა მაქვს, რომ დროში ვერ ვასწრებ. თან უკვე სივრცეც არ არის საკმარისი და გაფართოებაზე ვფიქრობ,"** - ამბობს იური ობოლაძე.

ახლა ოჯახს შემოსავლის სტაბილური წყარო გაუჩნდა. წეროვანშიც და მიმდებარე სოფლებში სარეკლამო და ინტერნეტგანცხადებების საშუალებით უკვე ყველა იცნობს. **"წეროვანის ჩასახლების გარდა, გარშემო სოფლებიდან და თბილისიდანაც მაძლევენ შეკვეთებს. თბილისთან შედარებით დაბალი ფასი მაქვს. დევნილებს კიდევ უფრო ნაკლებ ფასში ვემსახურები. ჩემი ხალხია. ვცდილობ, როგორც შემიძლია, ხელი შევუწყო და დავეხმარო. ეს პროექტი რომ არ ყოფილიყო, ძალიან გამიჭირდებოდა 9-სულიანი ოჯახს შენახვა,"** - გვითხრა იური ობოლაძემ.

წეროვანის დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრები ჰამლეტ კაპანაძე, რომელიც "სიტისის" პროექტის ფარგლებში დაფინანსდა, ამბობს, რომ მიღებულ ფინანსურ რესურსს მისი მცირე ბიზნესისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ახალგაზრდობის წლები ცხინვალში გაატარა, სამაჩაბლოს ომის შემდეგ სოფელ ავნევში დასახლდა. პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსს სოფელში დიდი ავტოსახელოსნო დარჩა, სადაც ხუთი თანასოფლელი ჰყავდა დასაქმებული. ომის შემდეგ სამსახურის ძებნა თბილისის ავტოსახელოსნოებში სცადა, თუმცა სამუშაო იარაღების უქონლობის გამო მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

"USAID"-ის საგრანტო განვითარების პროგრამის ფარგლებში "სიტისის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა 2011 წელს მიიღო. კონკურსის ყველა ეტაპი წარმატებით გადალახა და დაფინანსებაც მიიღო. **"ჩემმა რამდენიმე მეზობელმა ამ პროექტის დახმარებით მცირე ბიზნესი წამოიწყო, სწორედ მათ მირჩიეს კონკურსში მონაწილეობის მიღება. კონკურენცია ძალიან დიდი იყო და გამარჯვებას არ ველოდი. გრანტის თანხით კოტეჯის გვერდით ავტოსახელოსნო კაპიტალურად მოვაშენე და სამუშაო იარაღები შევიძინე. იარაღები საკმაოდ ძვირია და რომ არა გრანტი, საკუთარი ძალებით მათ შეძენას ვერ მოვახერხებდი. 6-სულიანი ოჯახი მყავს. მართალია, მუნიციპალიტეტში სპეციალისტად ვმუშაობ, მაგრამ ჩემი ხელფასი 336 ლარია და, ბუნებრივია, რომ ეს თანხა ამხელა ოჯახის შესანახად საკმარისი არ არის. მთავარი შემოსავლის წყარო სწორედ ეს სახელოსნოა,"** - ამბობს ჰამლეტ კაპანაძე.

დაფინანსების შემდეგ კლიენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. რამდენიმე ავტოდილერთან, რომლებიც ავნევში მისი კლიენტები იყვნენ, თანამშრომლობას წეროვანშიც განაგრძობს. თბილისში, გორსა და ხაშურში მცხოვრებ ძველ, დევნილ კლიენტებს უცხოეთიდან ჩამოყვანილი მეორადი მანქანები შესაკეთებელად სწორედ მასთან მიჰყავთ.

დაფინანსებიდან ერთი წლის თავზე ჰამლეტ კაპანაძე საკუთარ წამოწყებას წარმატებულად აფასებს. თვლის, რომ თუ ადამიანს თავისი საქმე უყვარს და შრომა არ ეზარება, ყველაფერს მიაღწევს.

პროექტის ხელმძღვანელების განცხადებით, 210 მეწარმის მიერ წამოწყებულ ბიზნესებში, მათ გარდა, 250 -ზე მეტი ადამიანი მუშაობს. ძირითადად, ოჯახის წევრები ან ახლობელ-მეზობლები.

აღსანიშნავია ისიც, რომ "კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის" წყალობით ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდა მრავალი სახის მომსახურება. მაგალითად, პროექტის ფარგლებში დაფუძნებული და დაფინასნებული აგრომომსახურების მიკროსაწარმოები ემსახურებიან თანასოფლელებს, რაც ზრდის მათი ფერმების პროდუქტიულობას და ამცირებს მთელი რიგი ხელის შრომითი ოპერციების სიმძიმეს. გაიხსნა მაღაზიები, რამდენიმე სილამაზის სალონი და ა.შ.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი 1999 წელს დაარსდა. ხელმძღვანელობის განცხადებით, კარგი მენეჯმენტი და მმართველობა განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამიტომ ცენტრის მიზანი განვითარების სფეროში მოქმედ ორგანიზაციათა ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობაა.

მცირე ბიზნესის განვითარებაში "ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი" 2005 წლიდანაა ჩართული. თავდაპირველად ორგანიზაციის საქმიანობა შემოიფარგლებოდა ტრენინგითა და კონსულტაციით მცირე ბიზნესის ადმინისტრირების საკითხებზე. წლების განმავლობაში ცენტრის საქმიანობა გაფართოვდა - "ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი" ცდილობს, გაზარდოს მცირე ბიზნესისათვის კაპიტალის ხელმისაწვდომობა საგრანტო კონკურსების მეშვობით. ამისათვის ორგანიზაცია სხვადასხვა დონორთან თანამშრომლობს.

სირიელი მინისტრი დასავლეთს ტერორისტების მხარდაჭერაში ადანაშაულებს

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ მუალემმა რამდენიმე ქვეყანა ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. მინისტრის თქმით, ამ ქვეყნების სიაში შედიან ამერიკა, საფრანგეთი, თურქეთი, საუდის არაბეთი და ყატარი. საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციით, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადისადმი მოწოდება, რომ მან უარი თქვას ხელისუფლებაზე, ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევაა. ვალიდ მუალემი დაუშვებლად მიიჩნევს, რომ ამერიკა და საფრანგეთი რეგიონის ქვეყნებთან ერთად ამბოხებულებს ფულითა და იარაღით ეხმარებიან. მუალემის თქმით, მას არ გაუკვირდება უშიშროების საბჭომ იმ აფეთქებების დაგმობაზე თქვას უარი, რომლებსაც ასადის მოწინააღმდეგეები აწყობენ. მისი თქმით, უშიშროების საბჭოს ზოგიერთი წევრი ამგვარ ქმედებას მხარს უჭერს.

"ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ამ დროისათვის ალეპოს ცენტრში კვლავ გრძელდება ბრძოლები. გასული წლის მარტში დაწყებულ კონფლიქტს, სხვადასხვა მონაცემებით, 27 000-დან 30 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

ნატო: ალიანსის სამხედროებზე თავდასხმები "თალიბანის" სტრატეგიის შედეგია

გაეროს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის თქმით, ალიანსის სამხედროებზე ავღანელი პოლიციელებისა და სამხედროების გახშირებული თავდასხმები მოძრაობა "თალიბანის" სტრატეგიის შედეგია. "გარდიანისათვის" მიცემულ ინტერვიუში რასმუსენმა აღნიშნა, რომ მსგავსი ინციდენტები ურთიერთნდობას უთხრის ძირს. მისი თქმით, ავღანეთიდან სამხედრო კონტინგენტის გამოყვანა შესაძლოა დაჩქარდეს. მხოლოდ ამ წელს ქვეყანაში ავღანელი მოკავშირეების ხელით 80 უცხოელი სამხედრო დაიღუპა.

უკრაინის პარლამენტმა ცილისწამების კანონპროექტზე უარი თქვა

უმაღლესმა რადამ განხილვიდან მოხსნა კანონპროექტი ცილისწამებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ. ის პირველი მოსმენით უკვე მიღებული იყო და მის გაუქმებას ამჯერად ხმა გაცილებით მეტმა - 349 დეპუტატმა მისცა. ის წარმოდგენილი იყო რეგიონების პარტიის წარმომადგენლის, დეპუტატ ვიტალი ჟურავსკის მიერ და მან ეს კანონპროექტი თვითონაც უკან გაიწვია. მედიამ ამის წინააღმდეგ სერიოზული საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, მათ შორის, ონლაინ აქციაც, რომლის თაობაზეც უკვე წერდა "24 საათი". კანონპროექტი, ჯარიმისა და გამოსასწორებელი საზოგადოებრივი სამუშაოების გარდა, 5-წლიან ციხესაც ითვალისწინებდა ცილისწამებისთვის. ჟურნალისტებმა მასში მედიაზე ზეწოლის საშუალება დაინახეს. კანონპროექტი გააკრიტიკა საერთაშორისო ორგანიზაციამ "რეპორტიორები საზღვრის გარეშე". ამ კანონზე უარის თქმისკენ მოუწოდა უკრაინას ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტურბიერნ იაგლანდმაც.

ჰონკონგში გემების შეჯახებას 37 ადამიანი შეეწირა

სალომე ჭანიაშვილი



ჰონკონგში, ლამას კუნძულთან ორი სამგზავრო გემი ერთმანეთს შეეჯახა. ოფიციალური მონაცემებით, ტრაგედიის შედეგად 37 ადამიანი დაიღუპა. ერთ-ერთ გემზე 120 ადამიანზე მეტი იმყოფებოდა, რომლებიც აპირებდნენ, საღამოს დაგეგმილი ფოიერვერკისთვის გემიდან ეყურებინათ. ავარიის შედეგად ამ სასეირნო გემის ნახევარი წყალში ჩაიძირა.

შეჯახების შედეგად 28 ადამიანი ადგილზევე დაიღუპა. 100-მდე დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც კიდევ რვა ადამიანი გარდაიცვალა. "ხუთ საავადმყოფოში დაახლოებით 100 ადამიანი იმყოფება. მათგან ცხრა მძიმედ დაშავებულია ან კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან," - განაცხადა ჰონკონგის ხელისუფლების წარმომადგენელმა.

სამაშველო სამსახურები აგრძელებენ ფართომასშტაბიან სამძებრო ოპერაციებს შესაძლო გადარჩენილების საპოვნელად. არსებობს ვარაუდი, რომ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, გემის ჩაძირულ ნაწილში იყოს ჩაკეტილი.

ავარია მოხდა შაბათს, ტრადიციული საშემოდგომო ფესტივალის დასასრულს. ეს ფესტივალი წელს დაემთხვა ჩინეთის ეროვნული რესპუბლიკის შექმნის დღეს, რომელიც 1 ოქტომბერს აღინიშნება. ზეიმების შედეგად საზღვაო მიმოსვლა საკმაოდ გადატვირთული იყო, რამაც ტრაგედია გამოიწვია.

გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი გემი დაქირავებული ჰქონდა ენერგეტიკულ კომპანია " HK Electric"-ს, თავისი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. ყველას ფოიერვერკის ყურება სურდა, რომელიც დღესასწაულის გამო იგეგმებოდა ვიქტორიას ყურეში.

ადგილობრივი დროით 20:30 საათზე სასეირნო გემს ბორანი შეეჯახა, რომელიც, როგორც ცნობილი გახდა, კომპანია "Hong Kong and Kowloon Ferry"-ს ეკუთვნოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მეორე გემზე დაახლოებით 100 ადამიანი იმყოფებოდა. ბორანმა მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო და უსაფრთხოდ დაბრუნდა პორტში. რამდენიმე მგზავრს, რომელნიც მსუბუქად დაშავდნენ, დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს.

ჰონკონგის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ლიან ჯენინის განცხადებით, მთავრობა ამ ინციდენტს საფუძვლიანად გამოიძიებს. "ჰონკონგის ყველა საგანგებო სამსახური იქ არის თავმოყრილი. ფართომასშტაბიანი სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს წყალში, ცაში და მიწაზე," - განაცხადა მან. ადამიანის ძებნის პროცესში ჩართული იყო ორი ვერტმფრენი და ათობით კატარღა.

ჰონკონგში "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტ ჯულიან ლიუს განცხადებით, ევაკუაციის პროცესი სიბნელემ და ცუდმა ხილვადობამ გაართულა. რამდენიმე საათის სამძებრო სამუშაოების შემდეგ მაშველებმა კატასტროფის ადგილიდან 123 ადამიანი ამოიყვანეს.

ერთ-ერთი გადარჩენილის სიტყვებით, "ზღვაში გასვლიდან 10 წუთის შემდეგ ჩვენს გემს დაეჯახა სხვა გემი, რომელიც ძალიან მაღალი სიჩქარით მოძრაობდა. კიჩომ წყალში ჩაძირვა დაიწყო. მე მოულოდნელად ღრმა წყალში აღმოვჩნდი. მთელი ძალით ვცდილობდი, სამაშველო თოკს ჩავბღაუჭებოდი. საბოლოოდ მე ეს გამომივიდა, მაგრამ სად არის ჩემი ორი შვილი, ახლაც არ ვიცი." თვითმხილველების განცხადებით, გემი ძალიან სწრაფად ჩაიძირა. "გემი ათ წუთში ჩაიძირა. ჩვენ 20 წუთით ლოდინმა მოგვიწია, სანამ გადაგვარჩენდნენ," - განაცხადა ერთ-ერთმა მგზავრმა. "ვფიქრობდით, რომ ყველანი დავიღუპებოდით. ყველანი შიგნით, მახეში ჩაკეტილები აღმოვჩნდით," - განაცხადა კიდევ ერთმა ქალბატონმა.

კუნძული ლამა ჰონკონგის სამხრეთით, სამ კილომეტრში მდებარეობს და ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჰონკონგი მსოფლიოში საზღვაო გადაზიდვების ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ არხს წარმოადგენს, მაგრამ ადგილობრივი ბორანები ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებად მიიჩნევა. იქ, ჩინეთისგან განსხვავებით, საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობა მკაცრად კონტროლდება.

ბიზნესი

ტურისტები "არაბულმა გაზაფხულმა" და "მუსლიმთა უცოდველობამ" შეაშინა

თინა შავაძე

"არაბული გაზაფხულის" რევოლუციას, რომელმაც რეგიონს 2011 წელს გადაუარა, ტურიზმისთვის გამანადგურებელი შედეგები ჰქონდა. პოლიტიკური მღელვარებები ევროპაში ტურისტული სეზონის პიკს დაემთხვა, - წერს RBC daily.

არეულობების შესახებ გავრცელებული ინფორმაციით დაშინებულმა დამსვენებლებმა ყურადღება სხვა რეგიონებზე გადაიტანეს ან გამგზავრებაზე საერთოდ უარი თქვეს.

იტალიის და რუსეთის მთავრობებმა რეგიონის ქვეყნებში ფრენებიც კი შეზღუდეს.

ეგვიპტის ტურისტული სფერო სერიოზულად დაზარალდა მას შემდეგ, რაც ქვეყნისთვის ტურისტების მთავარმა წყარომ - რუსეთმა ჩარტერების თითქმის მესამედი გააუქმა.

ტუნისში ადგილობრივი ბაზრის ლიდერი კომპანია Thomas Cook-ი იძულებული გახდა, ქვეყნიდან ათასობით ბრიტანელი და გერმანელი მოქალაქის ევაკუაცია მოეხდინა. მისმა ზარალმა რევოლუციური მოვლენების პიკზე 15,9 მილიონი გირვანქა შეადგინა. ადგილობრივი ბაზრის კიდევ ერთმა მთავარმა ოპერატორმა, გერმანულმა TUI Travel-მა კი 29 მილიონი დაკარგა.

2011 წლის შედეგებით ახლო აღმოსავლეთში ტურისტების რაოდენობა 7 პროცენტით შემცირდა, ჩრდილოეთ აფრიკაში კი 9,1 პროცენტით. ამასთან, ტუნისსა და ეგვიპტეში ეს მაჩვენებლები 32,9 პროცენტითა და 30,5 პროცენტით დაეცა.

სამაგიეროდ, საუდის არაბეთში გასულ წელს ტურისტების რეკორდული - 61,3-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, წელს კი იქ სპეციალისტები თითქმის 16,9-პროცენტიან ვარდნას ელოდებიან.

სექტემბერში მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭომ, Oxford Economics-ის ექსპერტებთან ერთად, მსოფლიოში ტურისტული დარგის ზრდის პროგნოზი 2012 წლისთვის 2,8-დან 1,6 პროცენტამდე შეამცირდა. ამის მთავარ მიზეზად გლობალური ეკონომიკის დასუსტება დასახელდა, რაც, პირველ რიგში, ევროზონას ეხება.

დარგზე ასევე აისახა განვითარებად ბაზრებზე არსებული სიტუაცია. ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ზრდა ჯერ კიდევ მოსალოდნელია, თუმცა განახლებულ პროგნოზში ვკითხულობთ, რომ რეგიონის ბაზარზე უარყოფითი გავლენის საფრთხე ჯერ კიდევ დიდია.

შეშფოთების ახალ ფაქტორად იქცა ინტერნეტში ანტიისლამური ფილმის "მუსლიმთა უცოდველობის" გამოჩენა. ამის შემდეგ რეგიონს დასავლეთის ქვეყნების, პირველ რიგში კი, აშშ-ს საელჩოებზე თავდასხმების ტალღამ გადაუარა.

ამან სერიოზულად შეაშფოთა ის ტურისტები, რომლებისთვისაც მთავარი საკუთარი უსაფრთხოებაა. გარდა ამისა, ევროპელ ვიზიტორებს სერიოზულად აშინებთ ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის რელიგიური ხელისუფლებების სურვილი, კურორტებზე ალკოჰოლის გაყიდვა და ბიკინებით სიარული აკრძალონ.

როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ტურისტებისთვის მთავარი საფრთხეა ომი სირიაში. ლიბანის ტურიზმის მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყნის ტურისტული დარგის განვითარების პროგნოზი მკვეთრად შემცირდა, ამის მიზეზი კი ის არის, რომ იორდანიიდან ტურისტებს აღარ აქვთ შესაძლებლობა, ლიბანში სირიის გავლით მოხვდნენ.

მსოფლიოს სახელმწიფოებს მათი ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის ტურიზმის მნიშვნელობა კარგად ესმით. ბაჰრეინი და ტუნისი ახლო აღმოსავლეთის პირველი სახელმწიფოები გახდნენ, რომლებმაც მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის "ოქროს წიგნზე" ხელი მოაწერეს, სავიზო რეჟიმის გამარტივება და საგადასახადო შეღავათების დაწესება გადაწყვიტეს და ამით დაადასტურეს, რომ ტურისტული დარგის განვითარება აუცილებელი პირობაა მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

მკაცრი რეზოლუცია რუსეთისთვის

პირველი გვერდიდან

სპიკერის ნაბიჯი ევროსაბჭოში სათანადოდაც შეაფასეს და მას "წარუმატებელი პოლიტიკური გადაწყვეტილება" უწოდეს.

ახალ რეზოლუციაში, რომელსაც საპარლამენტო ასამბლეაზე მხარი დაუჭირეს, აღნიშნულია ასევე ისიც, რომ ოფიციალურმა მოსკოვმა არ შეასრულა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ძველი რეზოლუცია "რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ". ამ დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ უნდა მომხდარიყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გაუქმება.

ანგარიშში, რომელსაც რეზოლუცია და ასამბლეის რეკომენდაციები აგვირგვინებდა, მოსკოვი ღიად იყო გაკრიტიკებული სხვა კონკრეტული საკითხების გამოც. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ვლადიმირ პუტინის მესამედ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ქვეყანაში კიდევ უფრო გაძლიერდა ავტორიტარული ტენდენციები, სასამართლო სისტემაზე პირდაპირ ზეწოლას ახდენს ხელისუფლების აღმასრულებელი შტო, ბუნდოვან ვითარებაში გახშირებულია ადამიანის უფლებათა დამცველების დაღუპვის ფაქტები, ხოლო სამოქალაქო აქტივისტებზე უპრეცედენტო ზეწოლა ხორციელდება.

ვინაიდან, ანგარიში მრავალმხრივი და საკმაოდ მოცულობითი იყო, ცხადია, ცალკე ქვეთავად იყო გამოყოფილი ადვოკატ სერგეი მაგნიტსკის გარდაცვალების საქმე. საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები ამასთანავე გამყარებულია იმითაც, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელშიც წევრი ქვეყნების საგარეო უწყების ხელმძღვანელებისგანაა დაკომპლექტებული, პერიოდულად ახსენებს რუსეთს თავის ვალდებულებებს.

სტრასბურგში რუსეთის დელეგაციას სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელი ალექსეი პუშკოვი მეთაურობს. პუშკოვის თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამგზავრებაზე ნარიშკინის უარი განპირობებული იყო რუსეთზე სატრსბურგის მხრიდან ზეწოლის გაძლიერებით. "Russia Today"-ს თანახმად, ფაქტია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაამტკიცა ყველაზე მოცულობითი და დეტალური რეზოლუცია რუსულ პოლიტიკაზე, რუსი დეპუტატების უკმაყოფილების მიუხედავად. ეს უკანასკნელნი რეზოლუციას მიკერძოებულს უწოდებდნენ.

სტრასბურგში დებატების მსვლელობისას ანგარიშის ერთ-ერთმა ავტორმა რუმინელმა გიორგი ფრუნდამ მკაცრად გააკრიტიკა რუსეთში ბოლო ხანს მიღებული კანონები. "კანონი "უცხოურ აგენტურაზე", საპროტესტო აქციების შესახებ კანონი და ინფორმაციისგან ბავშვების დაცვის შესახებ ფედერალური კანონი ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მინიმალურ სტანდარტებს. ოპოზიციის შევიწროება, მშვიდობიანი დემონსტრაციების აკრძალვა და საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ ხისტი პოლიტიკა უარყოფით გავლენას ახდენს რუსეთში დემოკრატიის ვითარებაზე", განაცხადა ფრუნდამ. მისი შეფასებით, ასევე არაპროპორციულია "Pussy Riot"-ის წევრების წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი, მიუღებელია მათთვის ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და საჭიროა მათი გათავისუფლება. სტრატსბურგში რუსეთის სათანადოდ გასილაქების გარდა, უნდა აღინიშნოს რამდენიმე დადებითი შენიშვნაც რეზოლუციაში, რომელიც ბოლო ხანს პოლიტიკურ პარტიებზე კანონის ლიბერალიზაციას და გუბერნატორის პირდაპირ არჩევითობაზე დაბრუნებას ეხება.

მკაცრი რეზოლუციის პარალელურად საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ჟან-კლოდ მინიონმა აღნიშნა ისიც, რომ მონიტორინგისა და რეკომენდაციების ფონზე არავინ აპირებს რუსეთისგან განტევების ვაცის შექმნას. მინიონის თქმით, სხვა სახელმწიფოთა ლიდერებსაც უწევთ მკაცრი შენიშვნების მოსმენა, მაგრამ ეს მხოლოდ მომავალში სასარგებლო მიზნებისთვის ხდება.

თურქეთი, როგორც კავკასიის ძალა

"ნულოვანი პრობლემების" მიდგომას თურქეთი მეზობლებთან აქტიურად იყენებს, განსაკუთრებით კი, კავკასიის ქვეყნებთან. საქართველო თურქეთის კავკასიური სტრატეგიის არცთუ ისე უმნიშვნელო შემადგენელი ნაწილია. თურქეთისათვის საქართველო მისი რეგიონული ენერგეტიკული სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, ასევე, ეს ქვეყანა მნიშვნელოვანი ბუფერია თურქეთისათვის ისტორიულ მეტოქე რუსეთთან. საქართველოსათვის კი თურქეთი სავაჭრო პარტნიორი, ევროატლანტიკურ სივრცეში ფანჯარა და ძლიერი რეგიონული მოსარჩლეა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ დავითოღლუს "მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების" მიდგომა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა. თუმცა ბოლო პერიოდში სირიასა და ირანში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ეს პოლიტიკა უფრო გამძლე კავკასიასთან გამოდგა.

საქართველო-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობა, განსაკუთრებით, თურქეთში "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის მოსვლისა და საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ გაღრმავდა. აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, საქართველოსთან ურთიერთობა უფრო თანმიმდევრულად ვითარდებოდა. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ ორ ქვეყანას შორის თბილი ურთიერთობა არსებობდა, თუმცა ქვეყნებს შორის ინტერესების თანხვედრა განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში მოხდა.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემდეგ, რომელიც 2007 წელს დაიდო, თურქეთი ქვეყნის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად იქცა. ამასთან, თურქული კომპანიები აქტიურ ინვესტიციებს ახორციელებენ საქართველოში. ორივე ქვეყანამ საზღვრები გახსნა ერთმანეთის მოქალაქეებისათვის, რაც ტურიზმსა და ვაჭრობის განვითარებას უწყობს ხელს. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, რომელიც 2013 წლისათვის დასრულდება, თბილისის, თურქეთისა და აზერბაიჯანის მგზავრების გადაყვანასა და ტვირთის გადაზიდვას მოემსახურება.

სტრატეგიულად საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს თურქეთის, როგორც ევრაზიის ენერგეტიკული ცენტრის, დამკვიდრებისათვის. ორივე - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობის მილსადენები საქართველოს ტერიტორიას გაივლის და ისე ამარაგებს თურქეთსა და ევროპის ბაზრებს.

პოლიტიკურად ორი ქვეყნის ურთიერთობა კიდევ უფრო შთამბეჭდავია. თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას და არც სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება უცდია. თურქეთი, ასევე, მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ნატოსკენ.

"ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდეს და ყველა შესაძლო საერთაშორისო პლატფორმაზე ჩვენს მხარდაჭერას გამოვხატავთ. ნატო-ს წევრობა საქართველოს მომავალს უფრო ძლიერს გახდის", - განაცხადა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ისმეთ იილმაზმა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები გააჩნია, ამ ქვეყნის ძალას კავკასიის რეგიონში ეჭვის თვალით უყურებს.

თურქეთისა და კავკასიის საკითხების ექსპერტ მაიკლ რეინოლდის თქმით, კავკასია კვლავ ასრულებს თურქეთისათვის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ბუფერის როლს რუსეთის წინააღმდეგ. ამ მხრივ საქართველო ჭეშმარიტ პარტნიორს წარმოადგენს.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მჭიდრო ურთიერთობები მყარდება თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, რომლის აქტიური ხელშემწყობიც თურქეთია. ამ ქვეყნებს შორის ფორმალური კავშირი, შესაძლოა, ახლო მომავალში არ ჩამოყალიბდეს, თუმცა ისეთი ინიციატივები, როგორებიც არის, მაგალითად, ტრაბზონის დეკლარაცია, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი, თავისუფალი ვაჭრობა, ღია საზღვრები თუ თურქეთის მიერ შემოთავაზებული კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პაქტი, ამ ყველაფრის დასაწყისად მოიაზრება.

თურქეთი, როგორც კავკასიის ძალა, შედარებით ახალ ფენომენს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია, რეგიონის გეოპოლიტიკა შეცვალოს. თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობა თუ ამ ტრაექტორიით განვითარდა, რეგიონში ანკარას გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც დიდი ხნის რეგიონულ ჰეგემონს - რუსეთს შეავიწროვებს.

World Politics Review - მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე - შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ კავკასიის ანალიტიკოსი; საგარეო პოლიტიკის კვლევების ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიაში "ჰეზბოლას" სპეცსამსახურების უფროსი მოკლეს

სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს მოკლეს ლიბანში ბაზირებული შიიტური რადიკალური დაჯგუფების "ჰეზბოლას" სპეცსამსახურების უფროსი ალი ჰუსეინ ნასიფი (აბუ აბასი). იგი დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის იმად მუგნიეს მემკვიდრედ მიიჩნეოდა, რომელიც 2008 წელს დამასკოში აფეთქების შედეგად დაიღუპა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აბუ აბასი სირიაში "ჰეზბოლას" ყველა ოპერაციას ხელმძღვანელობდა და ბაშარ ასადის ერთგულ ძალოვან სტრუქტურებთან მოქმედებების კოორდინაციას ახდენდა. საერთოდ, "ჰეზბოლა" სირიის და ირანის მხარდაჭერით არსებობს, შესაბამისად სირიაში პრობლემების შექმნის შემდეგ მათ საჭიროდ მიიჩნიეს, საკუთარ "პატრონს" ბაშარ ასადს ყველანაირად დახმარებოდნენ.

ალი ჰუსეინ ნასიფი ქალაქ ჰომსის მახლობლად კვირას დაიღუპა - ზოგი მონაცემებით, ამბოხებულებთან შეტაკებაში, სხვა ვერსიით - გზაზე ჩადებული ბომბის აფეთქების შედეგად. ის აღმოსავლეთ ლიბანში 1-ელ ოქტომბერს დაკრძალეს, რის შესახებაც ინფორმაცია და ფოტოები "ჰეზბოლას" მიერ კონტროლირებად ერთ-ერთ საიტზე გამოქვეყნდა.

სირიელმა ოპოზიციონერებმა ამას გარდა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მათ "ჰეზბოლას" მომლოცველთა ჯგუფი დაატყვევეს, რომელიც ლიბანში ერაყის ქალაქ კერბელადან ბრუნდებოდა. მათ შორის, სავარაუდოდ, "ჰეზბოლას" ლიდერ ჰასან ნასრალას შვილი იმყოფებოდა, რომელიც ყალბი დოკუმენტებით მგზავრობდა. შემდეგ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა და სირიელმა ამბოხებულებმა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფების ლიდერს ბოდიშიც მოუხადეს. ლიბანური მედიის ცნობით, მომლოცველების შემოწმება თურქეთის წარმომადგენლების მონაწილეობით მიმდინარეობდა, რომლებსაც ასეთი თხოვნით ირანმა მიმართა. ამ თემაზე არ გავრცელებულა არც თეირანის, არც ანკარას და არც "ჰეზბოლას" ოფიციალური კომენტარი.

ირანში "ჭაშუშური ქვები" ფეთქდება

ირანში, ურანის გამამდიდრებელი ქარხნის მახლობლად უსაფრთხოების სამსახურმა კლდის უჩვეულო და ცოტა საეჭვო ნამტვრევი აღმოაჩინა. როდესაც სპეციალისტები გამოსაკვლევად მიუახლოვდნენ, ის აფეთქდა. შემდგომმა გამოძიებამ დაადგინა, რომ სინადვილეში "ქვა" ელექტრონული მოწყობილობა იყო, რომელიც ბირთვული ობიექტის მახლობლად დაზვერვითი ფუნქციით მოათავსეს. მოწყობილობა, სავარაუდოდ, ქარხნის მახლობლად ნებისმიერ გადაადგილებას აფიქსირებდა და თანამგზავრული კავშირით საჭირო ადგილას გადასცემდა. იგი აღმოჩენისთანავე თავისით განადგურდა. მსგავსი ტექნოლოგია, დაახლოებით, ათი წლის წინ დამუშავდა. ასეთ "ქვებს" დაზვერვისთვის რამდენიმე სახელმწიფო იყენებს, მათ შორის აშშ და ისრაელი. ამ უკანასკნელს ასეთი "ქვები" მრავლად აქვს მიმოფანტული ლიბანში. არ არის გასაკვირი, რომ ისინი ირანის ბირთვული ობიექტის მახლობლადაც გამოჩნდა.

იაპონიაში ახალი ატომური ელექტროსადგური აშენდება

ოპერატორმა კომპანიამ "J-Power"-მა გადაწყვიტა, პრეფექტურა აომორიში ატომური ელექტროსადგურის "ომას" მშენებლობა გააგრძელოს, რომელიც 2011 წლის მარტის მოვლენების შემდეგ შეაჩერეს. მაშინ მიწისძვრამ და ცუნამიმ იაპონიას დიდი ზიანი მიაყენა და მათ შორის ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმაზე ავარია გამოიწვია. ოპერატორი კომპანია აცხადებს, რომ მშენებლობის გაგრძელების შესაძლებლობა უკვე აქვს, თუმცა ჯერ უცნობია, როდის დაიწყება მუშაობა თვით ობიექტზე. მათ აქვთ ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობა, თუმცა იაპონიის ეკონომიკის, მშენებლობის და მრეწველობის მინისტრმა იუკიო ედანომ განაცხადა, რომ სადგური მუშაობას მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს, რაც სპეციალური სამთავრობო კომისიის შემოწმებას გაივლის. ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო და დამთავრება 2014 წელს იგეგმებოდა, თუმცა ფუკუსიმას ტრაგედიის შემდეგ სამუშაოები შეწყდა. იმ დროისთვის სამუშაოების 40 პროცენტი იყო შესრულებული.

თეთრმა სახლმა კიბერშეტევა მოიგერია

თეთრი სახლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომპიუტერულ სისტემაზე კიბერშეტევა განხორციელდა, თუმცა ის შეეხო მხოლოდ ქსელის არასაიდუმლო ნაწილს, თან შეტევა წარმატებით მოიგერიეს და "არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ჰაკერებმა შეძლეს ინფორმაციის მოპოვება". აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანონიმი წარმომადგენლის სიტყვებით, ასეთი შეტევები ხშირია და მათ უკვე აქვთ შემუშავებული მეთოდები ნეიტრალიზაციისთვის. საიტმა "Washington Free Beacon"-მა კვირას გაავრცელა ინფორმაცია, რომ თეთრი სახლის სამხედრო განყოფილების ქსელში ჩინეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ჰაკერებმა შეაღწიეს. თეთრმა სახლმა არ დაადასტურა, რომ ქსელში შეღწევა სწორედ ჩინელმა ჰაკერებმა სცადეს. თუმცა ჩინელების შეტევები საკმაოდ ხშირია აშშ-ს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებზე, მათ შორის, პენტაგონზე. ამის შესახებ დაახლოებით ერთი კვირის წინ განაცხადა აშშ-ს კიბერთავდაცვის სადაზვერვო სამსახურის უფროსმა, კონტრ-ადმირალმა სემუელ კოკსმა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

კრებული ერთი ციდა მოთხრობებით

ბელა ჩეკურიშვილი

მიხო მოსულიშვილის მოთხრობების კრებული "არსაიდან არსაითკენ", რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა "საუნჯემ", აერთიანებს 38 "ერთი ციდა მოთხრობას" და ერთსაც დიდს - როგორც წიგნის სატიტულო გვერდი გვამცნობს. ერთი ციდა მოთხრობები პატარა პოეტური მინიატურებია, რომლის წერის ტექნიკაც, შეიძლება შევადაროთ იაპონელ ძენ-ბუდისტთა სატორს - რაიმეზე დაკვირვებისა და ჩაღრმავების შედეგად მიღებული გასხივოსნების ეფექტს, რომელიც მწერლის მიერ სიტყვად ითქმება ხოლმე. "მე ძენ-ბუდისტი არა ვარ, უბრალოდ ვაკვირდები და დაგროვილი სათქმელი მთავარ ამბად კონცენტრირდება, მის ჩაწერას ვცდილობ"- ამბობს მწერალი. ეს, ფაქტობრივად ვაჟა-ფშაველას სკოლაა, მიხო მოსულიშვილი იმ გზით სიარულს ცდილობს, "მთანი მაღლნი", "ფესვები", თუ "ქუჯი" რომ იწერებოდა, სადაც ერთი კონკრეტული აზრის, სურათისა, თუ პერსონაჟის გარშემო ტრიალებს ამბავი და რასაც ნოველას ვერ უწოდებ, უფრო ფილოსოფიური-ლირიკული ჩანახატებია. მსოფლიო ლიტერატურაში ამ ტექნიკას თუ სტილს არაერთი მწერალი მიმართავს, რასაკვირველია, თავისებურად, ეროვნული მწერლობის ტრადიციიდან გამომდინარე.

მიხო მოსულიშვილის "ერთი ციდა მოთხრობებს" პირველი მკითხველები ინტერნეტსივრცეში ჰყავდა, რომელთა კომენტარების მიხედვით მწერალი ხვდებოდა, რამდენად იყო მისაღები თხრობის ამგვარი სტილი მათთვის, თუმცა, სტილს ალბათ მნიშვნელობა არც აქვს, როცა საინტერესოდ მოყოლილ საინტერესო ამბავს კითხულობ.

დიდი მოთხრობა კი, სათაურით "ცეკვა მკვდრებით", ევროპული ნოველის ფორმატის მოთხრობას წარმოადგენს, რასაც რუსები "პოვესტს" ეძახიან, ხოლო საქართველოში მცირე რომანის სახელით მკვიდრდება.

მწერალი ქვესათაურში გვიწერს, რომ ეს დეტექტივია, თანაც კავკასიური და იმ წლების ამბავზეა აგებული, როცა ერთი ტომარა ფქვილი ერთ გრამ ჰეროინში იცვლებოდა. ამბავი კი, წყვილების ისტორიაა, რომლებმაც გუდაურთან ახლოს იქირავეს სასტუმრო და ჩრდილო კავკასიელებთან ახორციელებენ კრიმინალურ ვაჭრობას. ყველაფერი იმით მთავრდება, რომ უდანაშულო წყვილები ერთმანეთის პარტნიორებს ხოცავენ, გადარჩენილები კი ერთად იწყებენ იგივე საქმის კეთებას. ამ ამბავში, დეტექტივის გარდა, შავი იუმორიც დევს ბედის ირონიაზე. მწერალი კი სიტუაციას იყენებს იმისათვის, რომ პერსონაჟთა ხასიათი გახსნას და მათი ადამიანური სახე გვაჩვენოს.

მოთხრობას ეპიგრაფად უძღვის ამონარიდი ადოლფო ბიოი კასარესის ნოველიდან "როგორ გავითხაროთ საფლავი" - სადაც სწორედ ადამიანებზე ბედისწერის თამაშია ნაჩვენები: "თავიდან ყველაფერი ისე კარგად მიდიოდა, რომ ახლა, როცა ყველაფერი ცუდად წავიდა, ეჩვენებოდათ, თითქოს განრისხებულმა ბედმა მოულოდნელად დაუდოთ ფეხი".

მიხო მოსულიშვილი: "როცა წავიკითხე ეს ნოველა, დავფიქრდი, ჩვენთან რომ მსგავსი რამ მომხდარიყო, როგორ განვითარდებოდა-მეთქი და გამახსენდა, ის დრო, როცა ფქვილი ჰეროინზე იცვლებოდა. ამ მოთხრობაში ბევრი რამეა სინამდვილიდან აღებული. არ მიყვარს ისეთი ამბები, რომლებიც ძალიანაა გამიჯნული რეალობისგან. როდესაც ვწერ, ვცდილობ, ეს ამბავი გასაგები იყოს ყველასათვის, მათ შორის უცხოელი მკითხველისთვისაც. ქართულ მწერლობაში იყო ტენდენცია, როცა მოწონებით აღნიშნავდნენ: როგორი კოლორიტული მწერალია, როგორ კოლორიტულად ამბობსო. ამგვარ კოლორიტებზე აწყობილი ტექსტი კი უკვალოდ ქრება თარგმნის დროს. ვფიქრობ, ლიტერატურის მთავარი თვისება ყველას გასაგებად მოყოლილი ამბავი უნდა იყოს, სადაც ხელშესახები პესონაჟები და ხასიათები იკვეთება. როცა უცხოელ რედაქტორებთან თუ კოლეგებთან ვსაუბრობ, ხშირად ვაწყდები მათ გაკვირვებას იმ თემებზე, რასაც ვიწროდ ნაციონალური ეწოდება. თუმცა, არც მთლად ამ ნაციონალურობისგან გაძარცვა წაადგება ლიტერატურას".

კრებული "არსაიდან არსაითკენ" მიხო მოსულიშვილის მეორე წიგნია წელს, კინორომან "ჰელესას" შემდეგ. ოქტომბრის ბოლოს კი, მესამე წიგნსაც მივიღებთ, ეს 12 მოთხრობისაგან შემდგარი კრებულია, სახელწოდებით "სულის მდინარე". რომანი "ჰელესა" ამ რამდენიმე კვირის წინ ამერიკაში, საერთაშორისო კონკურსზე MEA (SUMMIT INTERNATIONAL AWARDS) ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა ნომინაციაში "ეფექტური მარკეტინგული გათვლა", როგორც ნიმუში იმისა, როგორ შეძლება მცირე ბიუჯეტით გამოსცე ხარისხიანი და ფართო მკითხველზე გათვლილი ლიტერატურა.

მიხო მოსულიშვილი წელს 50 წლის ხდება, საიუბილეოდ "ჰელესას" წარმატებასთან ერთად მას წელს კიდევ ერთი სიურპრიზი ელის, ეს იაპონურ ენაზე გამომავალი ქართული ანთოლოგიაა, რომელიც დეკემბრის ბოლოს იქნება მზად. ანთოლოგია სამი სხვადასხვა თაობის მწერალს აერთიანებს: ოტია იოსელიანს, მიხო მოსულიშვილს და გურამ მეგრელიშვილს. მიხო მოსულიშვილი ამ კრებულში შესულია მოთხრობებით "ტყის კაცი", "დიდი ძუ დათვი" და "ზამთარმა მოიქნია კუდი". საგულისხმოა, რომ მოთხრობები წიგნის იაპონელმა რედაქტორებმა თავად შეარჩიეს, სავარაუდოდ იმ ესთეტიკითა და იდეური ქვეტექსტების მიხედვით, რაც მისაღები იქნებოდა იაპონელი მკითხველისათვის. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა უცხოენოვანი ანთოლოგიის გამოცემის შემთხვევაში სავალდებულო და მნიშვნელოვანია, თუკი ქართული ლიტერატურის გარეთ გატანა გვსურს.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დასრულდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სცენა აზერბაიჯანული თეატრალური დასის წარმოდგენიდან ˝შექსპირი˝

ოლეგ ტაბაკოვის ფუნდამენტალური და სიტყვაზე დაფუძნებული სპექტაკლის ნახვის შემდეგ მაყურებელს საშუალება ჰქონდა ჯამბაზის შოუ ენახა მექსიკიდან. სპექტაკლის რეჟისორი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი და მთავარი როლის შემსრულებელიც გაბრიელა მუნოზია, ხოლო სცენოგრაფები ვალენტინა მუნოზი, ნატაშა გრეი და მარიონ სოსა არიან. ერთი მსახიობის, ჯამბაზის შოუ მთლიანად დაფუძნებულია იმპროვიზაციაზე და ინტერაქტივზე მაყურებელთან. საცირკო წარმოდგენა ადამიანის მოლოდინსა და იმედებზე გვესაუბრება. ეს არის ერთი ქალის ისტორია, რომელიც ოცნების მამამკაცს ელოდება. ეს მამაკაცი კი შესაძლოა რიგითი მაყურებელი აღმოჩნდეს, მსახიობი მაყურებელში თავად ირჩევს პრინცს, მეჯვარეებსა და პადრეს, რომელიც მას ჯვარს დაწერს. წარმოდგენა სახალისოა და არავინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები, არც თავად მსახიობმა და რეჟისორმა. ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლი ორჯერ იყო წარმოდგენილი და ორივეს დავესწარი, მაინტერესებდა იმპროვიზაციას მეორე საღამოს როგორ გაართმევდა თავს გაბრიელა მუნოზი. აღმოჩნდა, რომ პირველი და მეორე წარმოდგენა განწყობებით, სიუჟეტის მიმდინარეობით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, თუმცა რეჟისორი და მსახიობი ფაბულას იგივეს ტოვებენ. მექსიკური ჯამბაზის შოუ "იქნებ, იქნებ" თბილად მიიღო მაყურებელმა, წარმოდგენის მსვლელობის მანძილზე ბოლომდე ჩართული იყო მოქმედებაში, რადგანაც ინტრიგა გაბრიელა მუნოზიმ თავიდანვე ჩააგდო მაშინ, როცა მაყურებელთან კონტაქტის დამყარება დაიწყო.

მეოცნებე მსახიობი ქალი, რომელიც ცდილობს რეალობას თავი დააღწიოს და სურვილები მცირედით მაინც აიხდინოს, სევდიანი პერსონაჟია, ის ბოლოს მაინც მარტო რჩება, რადგან მასთან თანაცხოვრება არც პირველ და არც მეორე დღეს მაყურებელმა არ ისურვა. საინტერესო იქნებოდა, მსახიობი-მაყურებლის ინიციატივების შემთხვევაში როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რა თქმა უნდა, სპექტაკლის ბოლოს ყველაფერი გეგმას დაექვემდებარებოდა, მაგრამ მაინც საინტერესო იქნებოდა როგორ მოიქცეოდა მსახიობი იმ შემთხვევაში, როცა უარს არ ამბობენ მასზე.

მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე პროგრამა "New" -ს ფარგლებში აზერბაიჯანის ნაციონალურმა თეატრმა თანამედროვე აზერბაიჯანელი დრამატურგის ელჩინის პიესა "შექსპირი" წარმოადგინა. სევდიან კომედიაში მოქმედება საგიჟეში ხდება და ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები შექსპირის პერსონაჟებს აცოცხლებენ. სპექტაკლი აზდრამაში ცნობილმა მოლდოველმა მსახიობმა და რეჟისორმა, ჟენ იონესკოს ხელოვნების საერთასორისო ბიენალეს სამხატვრო ხელმძღვანელმა პეტრუ ვიტკარაუმ დადგა. მასთან სცენოგრაფიაზე ნაზიმ ბეიკიშიევმა იმუშავა, ხოლო სპექტაკლი მუსიკალურად გაზიმ კიაზიმზადესმა გააფორმა. ქართველ მაყურებელს არაერთხელ უნახავს აზერბაიჯანელთა წარმოდგენები, რომელიც აჩვენებდა თეატრალური ხელოვნების დაბალ განვითარებას აზერბაიჯანში, ამ სპექტაკლში აშკარად ჩანს ცოტაოდენი წინსვლა თეატრალურ აზროვნებაში, მსახიობთა თამაშის სტილშიც კი, თუმცა აზერბაიჯანულ თეატრს მაინც ბევრი უკლია პროფესიული სრულყოფისთვის.

საინტერესო წარმოდგენა შემოგვთავაზეს სამეფო უბნის თეატრში ლიტვიდან. კომპანია კრისტიან სმედსის პროდუქტი "სევდიანი სიმღერები ევროპის გულიდან" ჟანრობრივად დრამაა და ის მაქსიმუმ სამი მეტრის დიამეტრში თამაშდება მაყურებლით გარშემორტყმულ სივრცეში. მასში ერთი მსახიობი ალდონა ბენდორიუტე მონაწილეობს. სპექტაკლის რეჟისორი და სცენოგრაფი კრისტიან სმედსია, რომელმაც დოსტოევსკის ცნობილი ნაწარმოების "დანაშაული და სასჯელი" ერთი სიუჟეტური ხაზი გააცოცლა სცენაზე. რეჟისორი სონია მარმელადოვას ტრეფიკინგის ამბავს გვიყვება. სპექტაკლი დაფუძნებულია ინტერაქტივზე მაყურებელთან, წარმოდგენის დაწყებამდე მსახიობი ჩაითა და ნამცხვრით გვიმასპინძლდება, ნებსით თუ უნებლიედ მაყურებლის მიერ შექმნილ წრეში ინტიმური, სახლის, თბილი სიტუაცია და ატმოსფერო იქმნება, სწორედ ამ გარემოში მოგვითხრობს და გვიჩვენებს სონია-ალდონა ბენდორიუტე თავის ტრაგიკულ და დრამატიზმით სავსე ისტორიას.

უცნაური წარმოდგენა შემოგვთავაზეს გრიბოედოვის თეატრის პავილიონში ისრაელიდან. უცნაურობა არა მხოლოდ სპექტაკლის ფორმაში გამოიხატება, არამედ შინაარსშიც. წარმოდგენაზე მაყურებლთა დარბაზი საგანგებოდაა მოწყობილი ამფითეატრის პრინციპით. სამოქმედო სივრცე ანუ სცენა კი ორად არის გაყოფილი. ავანსცენაზე ორი მსახიობი დგას, ერთი მუსიკოსი, რომელიც დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავს და მეორე მსახიობი ქალი, იგივე მთხრობელი. მათ სხვა მსახიობებისგან კედელი ჰქოფს, რომლის შუა ნაწილში მინაა ჩასმული. "მოხუცი ცოლების ზღაპარი" (ასე ქვია წარმოდგენას) რამდენიმე ცნობილი ევროპული, ძველი ზღაპრის თხრობაა, იმ კედელს იქეთ, რომელიც ვახსენე კი სამზარეულოა მოწყობილი, სადაც მსახიობები როგორც ირკვევა ჩვენთვის, მაყურებლისთვის ნამცხვრებს ამზადებენ. ისინი დრო და დრო ერთვებიან თხრობაში. უცნაური კიდევ ის არის, რომ მსახიობები ამ წარმოდგენაში უფრო მზარეულობაში ავლენენ ცოდნასა და გამოცდილებას, ვიდრე არტისტობაში და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი: წარმოდგენაში ორი (ბიჭი და გოგო) შეზღუდული უნარების მქონე მსახიობი მონაწილეობს. თუ არ ვცვდები, "ჯგუფ მიკლატ 209"-ის პროექტის ჩვენება პირველი მცდელობაა მსგავსი ტიპის თეატრალური წარმოდგენის ჩვენების საქართველოში. ამ ტიპის თეატრალურ დასებს დიდი ხანია იცნობს ევროპა, მათ შორის, ყველაზე აქტიური ფრანგული და ბრიტანული დასებია, რომელთა პროექტებში ინვალიდები მონაწილეობენ. ამ კუთხით ყველაზე პოპულარული დასი "DV8" გახლავთ.

ფესტივალი 2012 დასრულდა. დისკუსია წარმოდგენილი სპექტაკლების, შერჩეული პროგრამის, ფესტივალიის შესრულებული, თუ შეუსრულებელი მისიის შესახებ თეატრალურ წრეებში დიდხანს გაგრძელდება. იქნება ბევრი კრიტიკული შენიშვნაც (რასაც მიეჩვია კიდეც ალბათ ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი) და ცოტა მადლობის წერილებიც. ეს ნორმალური პროცესია, მთავარია კრიტიკა იყოს ჯანსაღი და ფესტივალის ორგანიზატორებისთვის რაღაცის უკეთესისკენ შეცვლის მასტიმულიზირებელი. მთავარია ფესტივალმა იარსებოს და გაჩნდეს თუნდაც კონკურენტუნარიანი გარემოც, რათა თეატრის მოყვარულებს, თუ პროფესიონალებს მეტი სულიერ-ესთეტიკური და პროფესიული განვითარების საშუალება მიეცეს.

საოსკარე ვარაუდები

ანდერსონის "ოსტატი" და ლის "პის ცხოვრება" ნომინაციის მოლოდინში

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ



კარგი ფილმიდან "ოსტატი˝

"ოსკარით" დაჯილდოების ცერემონიალამდე შორია, თუმცა ამერიკის კინოაკადემიის მანქანა უკვე ჩართულია და გარდა იმისა, რომ მისი წევრები საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციის ხუთეულის შერჩევით არიან დაკავებული, პარალელურად ძირითადი ნომინაციების სავარაუდო კანდიდატებსაც განიხილავენ. საკუთარ ვერსიებს ინტერნეტგამოცემები და კინობლოგერებიც აქვეყნებენ, ასახელებენ ფილმებს, რომლებსაც ყველაზე დიდი შანსი აქვთ საუკეთესო ფილმის ნომინაციაში მოხვდნენ, მათი შემქნელები კი შესაბამის ნომინაციებში გადანაწილდნენ. ქვემოთ სწორედ ამ ვარაუდების შესახებ მოგითხრობთ.

საუკეთესო ფილმისა და რეჟისორის ნომინაციებში პროცენტულად ენგ ლი და მისი "პის ცხოვრება" ლიდერობენ. ეს გახლავთ კანადელი მწერლის, იან მარტელის ათიოდე წლის წინ გამოსული და "ბუკერის" პრემიით აღნიშნული ნაწარმოების ეკრანიზაცია, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ნიუ იორკის საერთაშორისო კინოფესტივალი გახსნა და კრიტიკოსთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა. "პის ცხოვრება" ზედაპირული შეფასებით სათავგადასავლო ფილმია, თუმცა ნაწარმოების კვალში ჩამდგარი რეჟისორი სამყაროს აგებულების ფილოსოფიურ განსჯასა და ადამიანებისა და გარესამყაროს თანაცხოვრების საიდუმლოს ილუსტრაციასაც გვთავაზობს. როგორც ტრეილერიდან ჩანს, ფილმი ვიზუალურად ძალიან ლამაზია, რაც უდავოდ გახლავთ ოპერატორ კლაუდიო მირანდას დამსახურება.

"პის ცხოვრების" ნომერ პირველ კონკურენტად პოლ ტომას ანდერსონის "ოსტატი" განიხილება - ამერიკელი კინოგენიოსის უკანასკნელი ფილმი, რომლითაც რეჟისორმა კინოზე განაწყენებული და მუსიკაში გადანაცვლებული ხოაკინ ფენიქსი გადასაღებ მოედანზე დააბრუნა. ანდერსონის "ოსტატმა" უკვე დაატყვევა ბერლინი, როდესაც თავად რეჟისორმა, ასევე ხოაკინ ფენიქსმა და ფილიპ სეიმურ ჰოფმანმა შესაბამის ნომინაციებში მოიპოვეს "დათვები". "ოსტატის" სიუჟეტი, უფრო კი პარალელები ერთ-ერთ თანამედროვე ფსევდორელიგიასთან დიდი ხანია განსჯის საგნადაა ქცეული, თუმცა ნამდვილი კინომოყვარულებისთვის (განსაკუთრებით კი პოლ ტომას ანდერსონის კინოს თაყვანისმცემლისთვის) უფრო ის გახლავთ მნიშვნელოვანი, რომ "ოსტატი" მსოფლიო კინოკრიტიკოსებმა არა მხოლოდ წლის მოვლენად, არამედ ახალ "მოქალაქე კეინადაც" შერაცხეს.

"პის ცხოვრებისა" და "ოსტატის" გარდა სავარაუდო ხუთეულში სტივენ სპილბერგის "ლინკოლნსაც" მოიხსენიებენ - ისტორიულ-ბიოგრაფულ დრამას ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო პრეზიდენტის შესახებ, რომლის როლსაც შეუდარებელი დენიელ დეი ლუისი ასრულებს. აქვეა უხეირო მსახიობისგან საკმაოდ კარგ რეჟისორად ჩამოყალიბებული ბენ აფლეკის პოლიტიკური დრამა "არგოც". ფილმი რეალურ მოვლენებს ეფუძნება. მასში მოქმედება 1979 წელს ვითარდება, მთავარი ხაზი კი თეირანში დატყვევებული ექვსი ამერიკელი დიპლომატის გათავისუფლების მცდელობაზე გადის. "არგო" ერთ-ერთი ყველზე ცნობილი და გავლენიანი ამერიკელი კინოკრიტიკოსის, როჯერ ებერტის სიტყვის მფარველობის ქვეშაა, რომელმაც აფლეკის ნამუშევარი "ოსკარის" მთავარი პრედენდენტის ხარისხში აიყვანა. ებერტი და მისი კოლეგები ხუთეულში მოხვედრის შანსს აძლევენ ოსკაროსანი "მეფის სიტყვის" რეჟისორ ტომ ჰუპერის ფილმსაც "საბრალონი" (ვიქტორ ჰიუგოს კლასიკური ნაწარმოების მიხედვით), რომელშიც ენ ჰეტეუეი, ამანდა სეიფრიდი, ჰიუ ჯეკმანი და რასელ ქროუ თამაშობენ.

საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაში მოხვედრას ზემოთ ჩამოთვლილი პრაქტიკულად ყველა ფილმის ავტორს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა არც ავსტრიელი მიხაელ ჰანეკეს ("სიყვარული"), კვენტინ ტარანტინოს ("განთავისუფლებული ჯანგო") და გას ვან სენტის ("აღთქმული მიწა") კანდიდატურებს გამორიცხავენ.

რაც შეეხება მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინაციას, აქ უდავოა, რომ ნომერ პირველი კანდიდატურა (არა მხოლოდ ნომინაციის, არამედ გამარჯვებისაც) ხოაკინ ფენიქსი იქნება, რომელსაც ღირსეულ კონკურენციას მხოლოდ დენიელ დეი ლუისი თუ გაუწევს. ასევე ასახელებენ ენტონი ჰოპკინსსაც ალფრედ ჰიჩკოკის შესახებ გადაღებულ ფილმში ლეგენდარული რეჟისორის სახის შექმნისთვის და ჰიუ ჯეკმანსაც ჟან ვალჟანის როლის შესრულებისთვის, თუმცა გარკვეული პროცენტები ჰანეკეს "სიყვარულში" მთავარი როლის შემსრულებელ, დიდებულ ჟან ლუი ტრენტინიანსაც აქვს. მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის ნომინაციაში მოხვედრასა და ოქროს ქანდაკების მიღებას კი ყველა ფილიპ სეიმურ ჰოფმანს უწინასწარმეტყველებს ("ოსტატი"). ეს ოსკაროსანი მსახიობი სავარაუდოდ კიდევ ერთხელ გააწბილებს აკადემიაზე ისედაც გულაყრილ ლეონარდო დი კაპრიოს, რომელმაც კვენტინ ტარანტინოს ფილმში პირველად შექმნა უარყოფითი პერსონაჟი. ამ ნომინაციის მესამე სავარაუდო კანდიდატად მეტიუ მაკონაჰს ასახალებენ სტივენ სოდერბერგის "ჯადოსნურ მაიკში" შესრულებული სტიპტიზის მოცეკვავის როლისთვის და ეს ამ მსახიობის აშკარად საუკეთესო როლია.

რაც შეეხება ქალის საუკეთესო როლის ნომინაციას, აქ მოხვედრილებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან წელს მერილ სტრიპს საოსკარე როლი ნამდვილად არ ჰქონია. ამრიგად კირა ნაიტლის ("ანა კარენინა"), ემანუელ რივას ("სიყვარული"), მარიონ კოტიარს ("ჟანგი და ძვალი"), ნაომი უოტსს ("შეუძლებელი") და მეგი სმიტს ("კვარტეტი"), რომლებსაც ამ ნომინაციის ყველაზე სავარაუდო კანდიდატებად განიხილავენ, შეუძლიათ 24 იანვარს მშვიდად დაელოდონ - 2013 წლის "ოსკარის" ნომინატების შესახებ მსოფლიო სწორედ ამ დღეს შეიტყობს.

XXI საუკუნის NBA-ს 17 საუკეთესო მოთამაშე

ვასილ უდუმაშვილი



კობი, შაკი და ტიმი

2000-იანი წლები კობი ბრაიანტის, ტიმ დანკანის, შაკილ ო'ნილის, დუეინ უეიდის და კევინ გარნეტის წლებად შევა კალათბურის ისტორიაში. NBA არასდროს არ უჩიოდა ვარსკვლავების სიმცირეს და, ცხადია, ამ მხრივ არც XXI საუკუნის დასაწყისია გამონაკლისი. ამერიკელებმა 2000-იანი წლების 17 საუკეთესო მოთამაშე დაასახელეს.

17.ვინს კარტერი (მსუბუქი ფორვარდი) - "ნიუ ჯერსი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 23.9 ქულა, 5.4 მოხსნა, 4.4 შედეგიანი გადაცემა, თამაშიდან სროლის პროცენტი 39.6, სამქულიანების პროცენტი 37.8

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: რვაჯერ ითამაშა ოლ სტარი, 2001 წელს დასახელდა მეორე სიმბოლურ ნაკრებში.

ვინსმა 2000-იანი წლების დასაწყისში საოცარი დანკების წყალობით გაითქვა სახელი. მან ჩატენვების კონკურსიც მოიგო. დეკადის პირველი ნახევარი მან სუსტ «ტორონტო რეფტორსში" გაატარა და მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოდა.

16. კრის უებერი (მძიმე ფორვარდი) - "საკრამენტო"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 21.1 ქულა, 9.7 მოხსნა, 4.3 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 46.1

2000-იან წლებში ითამაშა ცხრა სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: ოთხჯერ ითამაშა ოლ სტარი, 2001 წელს მოხვდა ლიგის სიმბოლურ ნაკრებში, ორჯერ მოხვდა ლიგის მეორე სიმბოლურ ნაკრებში, ერთხელ კი - მესამეში.

კრის უებერი არასდროს გამხდარა ჩემპიონი, თუმცა, თავისი თამაშით ყველას დაამახსოვრა თავი. ჩემპიონობისთვის, კარგ თამაშთან ერთად, კარგი გუნდიც არის საჭირო. უებერს კი ამ მხრივ ნამდვილად არ გაუმართლა. «საკრამენტოში" მას ჩემპიონობის შანსი არ ჰქონია.

15.იაო მინი (ცენტრი) - "ჰიუსტონი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 19.1 ქულა, 9.3 მოხსნა, 1.9 ბლოკშოტი თამაშიდან სროლის პროცენტი 52.2

2000-იან წლებში ითამაშა შვიდი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: შვიდჯერ ითამაშა ოლ სტარი, ორჯერ მოხვდა ლიგის მეორე სიმბოლურ ნაკრებში, სამჯერ - მესამეში, 2003 წელს დაასახელეს ახალბედათა ნაკრებში.

იაო მინი კალაბთურთში ჩინეთის ელჩი იყო. ის საკულტო ფიგურად იქცა. პირველი ჩინელი ლიგაში და თანაც როგორი... სამწუხაროდ, ტრავმებმა მას თავისი პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალება არ მისცა.

14.დუაიტ ჰოვარდი (ცენტრი) - "ორლანდო"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 17.3 ქულა, 12.5 მოხსნა, 2.0 ბლოკშოტი თამაშიდან სროლის პროცენტი 56.8

2000-იან წლებში ითამაშა ხუთი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2009 წელს დასახელდა წლის საუკეთესო დამცავი სტილის კალათბურთელად, სამჯერ ითამაშა ოლ სტარი, ორჯერ საუკეთესო იყო მოხსნებში, 2009 წელს კი ბლოკშოტების მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა.

დუაიტ ჰოვარდმა მხოლოდ ხუთი წელი ითამაშა 2000-იან წლებში, თუმცა, ტოპ 25-ში მაინც მოხვდა. ახლა ის ლიგის საუკეთესო ცენტრია. დუაიტის კოლექციას მხოლოდ NBA-ს ჩემპიონის ბეჭედი აკლია. "ორლანდოში" ამის გაკეთება ძნელი იყო, ახლა კი, როცა ის «ლეიკერსში" გადავიდა, წესით, ამ საქმესაც უნდა ეშველოს.

13.პოლ პირსი (მსროლელი) - "ბოსტონი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 23.3 ქულა, 6.3 მოხსნა, 4.0 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 44.3, სამქულიანების პროცენტი 36.3

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2008 წელს NBA-ს ჩემპიონი, ამავე წელს ფინალური სერიის MVP, შვიდჯერ ითამაშა ოლ სტარი.

სპეციალისტების თქმით, პოლ პირსი "ბოსტონ სელტიქსის" ყველა დროის ხუთ საუკეთესო კალათბურთელს შორისაა. ამით, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი.

12.რეი ალენი (მსროლელი) - "სიეტლი", "ბოსტონი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 22.1 ქულა, 4.4 მოხსნა, 3.8 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 45.2, სამქულიანების პროცენტი 40.3

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2008 წელს NBA-ს ჩემპიონი, ცხრაჯერ ითამაშა ოლ სტარი. 2003 წელს ჯენტლმენების პრიზითაც დააჯილდოვეს.

სანამ 2008 წელს "ბოსტონთან" ერთად ჩემპიონის ბეჭედს მოიგებდა, რეი ალენი "სიეტლში" ბრწყინავდა, თუმცა, ამ გუნდში ჩემპიონობის შანსი არ ჰქონია. ახლა რეის კიდევ ერთი ბეჭდის მოგების შანსი ექნება - ის ხომ "მაიამიში" გადავიდა.

11.ტრეისი მაკგრეიდი (მსროლელი) - "ორლანდო"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 24.4 ქულა, 6.3 მოხსნა, 5.2 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 43.5

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: შვიდჯერ ითამაშა ოლ სტარი, ორჯერ გახდა ლიგის საუკეთესო მექულე, ორჯერ მოხვდა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში.

2000-იან წლებში ტრეისი მაკგრეიდი ლიგის გამორჩეული ვარსკვლავი იყო, თუმცა, როგორც ჩანს, ის ჩემპიონის ტიტულის გარეშე დაასრულებს კარიერას. ჩემპიონის ბეჭდის მოგების შანსი მას "ჰიუსტონში" თამაშისას ჰქონდა, მაგრამ იაო მინთან ერთად ეს ვერ შეძლო.

10.დირკ ნოვიცკი (მძიმე ფორვარდი) - "დალასი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 23.6 ქულა, 8.9 მოხსნა, 2.8 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 47.4, სამქულიანების პროცენტი 38.2

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2007 წელს სეზონის MVP, რვაჯერ ითამაშა ოლ სტარი, ოთხჯერ მოხვდა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში.

"დალასის" გერმანელი კალათბურთელი გასული დეკადის ნამდვილი ლეგენდაა, თუმცა, მხოლოდ 2000-იანი წლების დასრულების შემდეგ გახდა ჩემპიონი.

9.ჯეისონ კიდი (გამთამაშებელი) - "ნიუ ჯერსი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 14.0 ქულა, 7.0 მოხსნა, 9.2 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 40.2,

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: შვიდჯერ ითამაშა ოლ სტარი, ერთხელ მოხვდა სეზონის მეორე სიმბოლურში.

მისტერ ტრიპლ დაბლი, კალათბურთის ისტორიაში მესამე ადგილზე ტრიპლ დაბლებში, მხოლოდ ოსკარ რობერტსონს და მეჯიკ ჯონსონს ჩამორჩება, თანამედროვე კალათბურთელებიდან კი მასთან ამ მაჩვენებლით ახლოს ვერავინ მივა. საბედნიეროდ, "დალასთან" ერთად კიდმა ჩემპიონის ტიტული მოიგო და თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კალათბურთელი ჩემპიონის ბეჭდის გარეშე არ დაასრულებს კარიერას.

8.სტივ ნეში (გამთამაშებელი) - "ფინიქსი", "დალასი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 16.2 ქულა, 3.2 მოხსნა, 9.1 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 49.4, სამქულიანების პროცენტი 43.6

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: ორჯერ გახდა სეზონის MVP, ექვსჯერ ითამაშა ოლ სტარი, სამჯერ მოხვდა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში.

შესაძლოა, ნეში, კიდის დარად, ეფექტური არ იყო, მაგრამ გუნდისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი კალათბურთელი გახლდათ. ორ სეზონში MVP-ს ტიტულის მოგება უკვე ბევრის მთქმელია.

7.დუეინ უედი (მსროლელი) - "მაიამი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 25.2 ქულა, 4.9 მოხსნა, 6.7 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 48

2000-იან წლებში ითამაშა ექვსი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2006 წელს გახდა ჩემპიონი და ფინალური სერიის MVP. ხუთჯერ ითამაშა ოლ სტარი, 2009 წელს გახდა ლიგის საუკეთესო მსროლელი.

ბევრს მიაჩნია, რომ ახლა "მაიამი ჰიტის" ეპოქა დადგა და ყველაფერს ლებრონ ჯეიმსს მიაწერენ, თუმცა, ლებრონის მისვლამდე "მაიამის" ჰყავდა უეიდი, რომელმაც 2006 წელს გუნდს ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

6.ლებრონ ჯეიმსი (მსუბუქი ფორვარდი) - "კლივლენდი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 27.5 ქულა, 7.0 მოხსნა, 6.7 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 47.1

2000-იან წლებში ითამაშა ექვსი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2009 წელს სეზონის MVP, ხუთჯერ ითამაშა ოლ სტარი, 2004 წელს წლის საუკეთესო ახალბედა, ორჯერ გახდა ოლ სტარის MVP. 2008 წელს - საუკეთესო მექულე.

2000-იან წლებში ლებრონმა მხოლოდ ექვსი სეზონი ითამაშა და მოკრძალებულ «კლივლენდთან" ერთად ბევრს ვერაფერს გახდა, თუმცა, ლიგის პირველ ვარსკვლავად სწორედ «კავალიერსში" ჩამოყალიბდა. «მაიამიში" გადასვლის შემდეგ კი სანუკვარი ჩემპიონის ბეჭედიც მოიგო.

5.ალენ აივერსონი (გამთამაშებელი) - "ფილადელფია"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 28.1 ქულა, 6.2 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 47.1

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2001 წელს სეზონის MVP, ათჯერ ითამაშა ოლ სტარი, საჯერ გახდა ლიგის საუკეთესო მექულე. ორჯერ გახდა ოლ სტარის MVP.

შესაძლოა, ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი კალათბურთელი, თუმცა, ძალიან ჭირვეული ხასიათით, რის გამოც მისი კარიერა ბოლომდე არ აეწყო. მისი ცუდი ხასიათი რომ არა, ვინ იცის, შესაძლოა, ის კობი ბრაიანტსა და შაკილ ო'ნილზე მაღლაც დამდგარიყო.

4.კევინ გარნეტი (მძიმე ფორვარდი) - "მინესოტა", "ბოსტონი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 21.6 ქულა, 12.1 მოხსნა, 4.7 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 49.9

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: 2008 წლის ჩემპიონი, 2004 წლის MVP, ათჯერ ითამაშა ოლ სტარი, 2003 წელს გახდა ოლ სტარის MVP.

გარნეტი ერთ-ერთი პირველი კალათბურთელია, რომელიც ლიგაში არა კოლეჯიდან, არამედ უმაღლესი სკოლიდან მოვიდა. «მინესოტაში" კევინი მარტოხელა მგელივით იყო, "ბოსტონში" გადასვლით კი დამსახურებული ჩემპიონის ბეჭედიც მოირგო.

3.ტიმ დანკანი (ცენტრი) - "სან ანტონიო"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 21.4 ქულა, 11.7 მოხსნა, 3.3 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 50.4

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: სამგზის ჩემპიონი, ორგზის ფინალების MVP, ორგზის სეზონის MVP. ათჯერ ითამაშა ოლ სტარი, აქედან შვიდჯერ - სასტარტო ხუთეულში. 2000 წელს გახდა ოლ სტარის MVP.

ტიმ დანკანი აუღელვებლად და მშვიდად აკეთებს თავის საქმეს. ის არ არის ეფექტური, მაგრამ მაინც საოცრად ეფექტურია. ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი გახლავთ.

2.შაკილ ო'ნილი (ცენტრი) - "ლეიკერსი"

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 23.1 ქულა, 10.6 მოხსნა, 2.2 ბლოკი თამაშიდან სროლის პროცენტი 58.5

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: ოთხგზის ჩემპიონი, სამგზის ფინალების MVP, 2000 წელს სეზონის MVP, ცხრაჯერ ითამაშა ოლ სტარი.

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი. ის სიმძლავრისა და სისწრაფის განსახიერება გახლდათ. მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

კობი ბრაიანტი (მსროლელი) - "ლეიკერსი)

სტატისტიკა 2000-იან წლებში: 28.2 ქულა, 5.9 მოხსნა, 5.2 შედეგიანი გადაცემა თამაშიდან სროლის პროცენტი 45.7

2000-იან წლებში ითამაშა ათი სეზონი

განსაკუთრებული მიღწევა: ოთხგზის ჩემპიონი, 2009 წელს - ფინალის MVP, 2008 წელს სეზონის MVP, ათჯერ ითამაშა ოლ სტარი, სამჯერ გახდა ოლ სტარის MVP.

ერთადერთი კალათბურთელი, რომელიც შეიძლება მაიკლ ჯორდანს შევადაროთ. კობი არა მარტო ტიტულებით, არამედ სათამაშო სტილითაც საოცრად მოგვაგონებს ლეგენდარულ ჯორდანს.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5056
AMD	1000 სომხური დრამი	4.0685
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.7150
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.1072
BGN	1 ბულგარული ლევი	1.0942
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.8153
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.9491
CAD	1 კანადური დოლარი	1.6872
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7606
CNY	10 ჩინური იუანი	2.6260
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8526
DKK	10 დანიური კრონი	2.8539
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.7168
EUR	1 ევრო	2.1277
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.6786
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1342
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7464
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.2391
INR	100 ინდური რუპია	3.0902
IRR	10000 ირანული რიალი	1.3542
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.3299
JPY	100 იაპონური იენი	2.1303
KGS	100 ყირგიზული სომი	3.5226
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8911
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.1031
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.1675
LVL	1 ლატვიური ლატი	3.0308
MDL	10 მოლდავური ლეი	1.3371
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.8788
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3593
PLN	10 პოლონური ზლოტი	5.1399
RON	10 რუმინული ლეი	4.7117
RSD	100 სერბიული დინარი	1.8520
RUB	100 რუსული რუბლი	5.3001
SEK	10 შვედური კრონი	2.5056
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.3437
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4730
TMT	10 თურქმენული მანათი	5.8063
TRY	1 თურქული ლირა	0.9225
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0703
USD	1 აშშ დოლარი	1.6548
UZS	1000 უზბეკური სომი	0.8536
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	2.0140
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4764
QAR	10 ყატარული რიალი	4.5454

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.13	+0.03	+0.90%
გაზი	3.23	+0.02	+0.59%
ოქრო	1,768.80	+15.20	+0.86%
ხორბალი	865.25	-4.00	-0.46%
S&P/TSX Composite Index	12,286.00	+53.18	+0.43%
Nasdaq Composite Index	3,109.73	+16.03	+0.52%
Dow Jones Industrial Average	13,437.20	+23.69	+0.18%

კროსვორდები





	5	6	7	1		9		
	1	9	8				6	
4	7							
			1	8		5	3	
7		2				6		
9								8
				7	4			
		1	3					2

			2		1			6
		5		9		1		
	9							
3	4		9				1	
	8							2
	7	9						
							4	
			8		6	7		3
		6		5				

B	F	2						1	0	6			4		D
	A	0			C	7	E						F	1	2
6		7					1		9	B			3		
		8			9	4		F		7			B		
			D			3	8	0				4	C	E	F
	7		5					D				0			
F		1		E	A		6		C	5	8		2		
	E		4	1		9	D	6			A	3		5	
1											9				0
E	8	F		2			0								
								8		4		5	D	C	A
					E		7		D		3				6
9															
	D		F	3	8							9	A	6	E
C				5	B	2	A				E			D	
		A	8		D		C	5	B		1				

ჩემპიონთა ლიგის ახალგაზრდების ტოპ ათეული

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშება ნელ-ნელა ძალას იკრებს. მოდით სააგენტო Goal.com-თან ერთად მოდით მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის ახალგაზრდა ფეხბურთელების ტოპ ათეულს გადავავლოთ თვალი.

1. დავიდ დე ხეა - "მანჩესტერ იუნაიტედი"

მიუხედავად იმისაბ რომ მას "მანჩესტერშიძ არც ისე დამაჯერებელი სტარტი ჰქონდა ამჟამად ესპანელი კიპერი აშკარად შთამბეჭდავ თამაშს აჩვენებს. 21 წლის კიპერმა გასულ სეზონში 12 მატჩში შეინახა საკუათრი კარი მშრალად და წლეულსაც საკმაოდ კარგად თამაშობს.

2. სტეფან ელ შარავი - "მილანი"

ეს ფეხბურთელი უკვე მეორე სეზონს ატარებს იტალიურ გრანდში. გასული სეზონი მისთვის ასე ვთქვათ შეგუების პერიოდად იქცა, ზაფხულში კი შარავი პრაქტიკულად "მილანის" ძირითადის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. 19 წლის შემტევზე "როსონერიშიძ საკმაოდ დიდი იმედებს ამყარებენ და ასნორედ ამიტომ არ შეელია "მილანი" ელ შარავის, არადა შეგახსენებთ, რომ ზაფხულში იტალიურმა გრანდმა იბრაჰიმოვიჩი და კასანოც კი გაყიდა.

3. კრისტიან ერიქსენი - "აიაქსი"

დანიელს ევროპის ჩემპიონატზე უწინასწარმეტყველებდნენ გაბრწყინებას. თუმცა დანიის ნაკრებში იგი ცოტა არ იყოს ჩრდილში აღმოჩნდა. აი ამსტერდამულ კლუბში კი ერიქსენი აშკაპრად ლიდერია. "ააქსს" საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდა, ამსტერდამულ კლუბთან ერთად "რეალი", "დორტმუნდი" და "სიტი" მოხვდნენ. ერიქსენს მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდება რათა ასეთ სიტუაციაში თავი გამოიჩინოს.

ოსკარი

4. მარიო გიოტცე - "დორტმუნდი"

ამ ფეხბურთელზე უკვე რამდენიმე წელია საუბრობენ, მისი გადაბირებით ევროპული ფეხბურთის ყველა გრანდია დაინტერესებული, თუმცა მარიო ჯერჯერობით დორტმუნდული კლუბის ერთგულებას ინარჩუნებს. მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაწი "ბორუსიას" მთავარი იმედი სწორედ გიოტცეა.

5. ედენ აზარი - "ჩელსი"

ამ ფეხბურთელში ძჩელსიმძ ზაფხულში 40 მილიონი ევრო გადაიხადა, ვიფქრლბთ უკვე ამით არის ყველაფერი ნათქვამი. ბელგიელი "ჩელსიში" გადლასვლისთანავე ამართლებს მასზე დახარჯულ თანხას.

6. ისკო - "მალაგა"

მას შემდეგ რაც სანტი კასორლა "არსენალშიძ გადავიდა ისკო "მალაგას" ლილდერად იქცა და ჯერჯერობით ამართლებს კიდეც კლუბის ხელმძღვანელობის იმედებს. 20 წლის შემტევი ნახევარმცველი საუკთესო იყო "მალაგასაძ და "ზენიტის" მაჩტში, რომელიც სეპანურმა კლუბმა აგარიშით 3:0 მოიგო.

7. მატია ნასტატიჩი - "სიტი"

19 წლის სერბ მცველს უკე მოიხსენიებენ ახალ ნემანია ვიდიჩად. კარიერა მან "პარტიზანში" დაიწყო, გასული სეზონი კი ძფიორენტინაშიძ გაატარა საიდანაც ინგლისის ჩემპიონ ძსიტიში" გადაბარგდა. მანჩინიმ ეს ახალგაზრდა ჩემპიონთა ლიგის მაჩტში "რეალის" წინააღმდეგ ათამაშა და ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს თუ რამდენად ენდობა იტალიელი მწვრნელი სერბ მცველს.

8. ოსკარი - "ჩელსი"

ახალგაზრდა ბრაზილიელი ძჩელსიმ" 28 მილიონ ევროდ იყიდა. ჩემპიონთა ლიგის პირველივე მატჩში ოსკარმა ფანტასტიკური გოლი გაიტანა. ბრაზილიის ანკრებსი 21 წლსი ფეხურთელი ედენ აზართან ერთად საკმაოდ მრისხანე დუეტს ქმნის.

9. კრისტიან ტელო, - "ბარსელონა"

ცხადია ასეთი სია "ბარსელონას" ფეხბურთელის გარეშე წარმოუდგენელია. კატალონიური კლუბი ყოველწლიურად გვამარაგებს ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელებით. ტელო ასპარეზზე ჯერ კიდევ გასულ სეზონში გამოჩნდა წლეულს კი "ბარსაშიძ მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. ტელოსთან ერთად ღურადღებას იმსახურებს ტიაგოც. ამ ორ ფეხბურთელს კატალონიურიკლუბის მომავალს უწოდებენ.

10. რაფაელ ვარანე - "რეალი"

ეს ფეხბურთელი "რეალში" 2011 წელს გადავიდა. 19 წლის ვარანეს მოურინიო ენდობა და იგი ძმაჩნესტერ სიტის" წინააღმდეგ მატჩშ ათამაშა კიდეც. გასულ სეზონში ამ ფეხბურთელს ბევრი სათამაშო დრო არ ჰქონიაბ თუმაც ახლა ალბათ ვითარება შეიცვლება.

პაკიაო VS მარკესი IV - 13 ათასი ბილეთი გაყიდულია

ბიგა გურასაშვილი

ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს მაიკ ტაისონს ჰკითხეს, მოქმედ მოკრივეთაგან არის თუ არა ვინმე ისეთი, ვისაც "რკინის მაიკი" აკვირდება. ტაისონმა ორი მოკრივის გვარი დაასახელა და ორივე ფილიპინელია - რვა წონითი კატეგორიის მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე, 33 წლის ფილიპინელი მენი პაკიაო და კრივის მსოფლიო ფედერაციისა (IBF) და ორგანიზაციის (WBO) მოქმედი ჩემპიონი პირველ ნახევრად მსუბუქ წონაში, 29 წლის ნონიტო დონერი.

8 დეკემბერს ლას ვეგასში პაკიაოს მეოთხედ უწევს შეხვედრა მექსიკელ ხუან მანუელ მარკესთან, რაზეც ტაისონმა განაცხადა, რომ მათ მატჩს სიამოვნებით უყურებს. თუმცა, მათ შორის გამარჯვებულის დასახელებისგან თავი შეიკავა.

"საინტერესო მატჩი გველის, - Examiner.com ციტირებს ტაისონს. - მათი ბრძოლის ყურებას ვაპირებ. პაკიაოს რთული და ხისტი შეხვედრა ელის. ვერ ვიჯერებ, რომ მარკესთან კიდევ აპირებს ჩხუბს".

პაკიაოსა და მარკესის გზები 8 დეკემბერს მეოთხედ გადაიკვეთება

პაკიაოსა (54 მოგება, აქედან 38 ნოკაუტით, 4 წაგება და 2 ფრე) და სამი წონითი კატეგორიის მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ და პირველი საშუალო წონის მოქმედ ჩემპიონ მარკესის (54 მოგება, აქედან 39 ნოკაუტით, 6 წაგება და 1 ფრე) მატჩის მოლოდინზე შთაბეჭდილების შესაქმნელად გეტყვით, რომ ლას ვეგასის MGM Grand რინგზე მოსახვედრად დღეს უკვე 13 ათასი ბილეთია გაყიდული (ბილეთები იყიდება 28 სექტემბრიდან).

დარჩენილია სამი ათასზე ნაკლები ბილეთი, რომელთა ღირებულება შეადგენს 1200, 900, 600, 400 და 200 დოლარს.

პაკიაოსა და მარკესის მესამე მატჩიც სწორედ ამ არენაზე გაიმართა შარშან, ნოემბერში. მაშინ 15 498 ბილეთი გაიყიდა, რამაც ჯამში შეადგინა 11 648 300 აშშ დოლარი, რაც ნევადის შტატში ჩატარებულ ბრძოლათა ისტორიაში მეათე მაჩვენებელია.

განრიგი დადგინდა

ფუტსალში უეფას თასის ელიტ რაუნდის ერთ-ერთი ჯგუფის, კერძოდ, D ჯგუფის მატჩები თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

საქართველოს საუკეთესო გუნდის, "იბერია სტარის" მეტოქეები იქნებიან პორტუგალიური "ბენფიკა", იტალიური "ლუპარენსე" და უნგრული "დიორ ეტო". ახლა კი მომავალი მატჩების განრიგიც ცნობილი გახდა.

თბილისში ჯგუფური ტურნირი 11 ოქტომბერს დაიწყება. ქართული გუნდის პირველი მეტოქე იქნება იტალიური კლუბი. 12-ში მასპინძლები უნგრელებს დაუპირისპირდებიან, ხოლო 14-ში - პორტუგალიელებს.

შეხვედრათა სრული განრიგით, ცხადია, თბილისის დროა მითითებული.

11 ოქტომბერი
ბენფიკა - დიორ ეტო 15:45
იბერია სტარი - ლუპარენსე 18:15
12 ოქტომბერი
ლუპარენსე - ბენფიკა 15:00
იბერია სტარი - დიორ ეტო 17:30
14 ოქტომბერი
დიორ ეტო - ლუპარენსე 15:45
ბენფიკა - იბერია სტარი 18:15

რაც შეხება გათამაშების ფორმატს, ელიტ რაუნდში სულ ოთხი ჯგუფია. ეგრეთ წოდებულ "ოთხთა ფინალში" ამ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ითამაშებენ.

რობინიომ "მილანს" ზურგი აქცია

იტალიური მედიის ინფორმაციით, ბრაზილიელი რობინიო "მილანში" დაბრუნებას არ აპრებს. წესით, რობინიომ ახალი გუნდი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში უნდა მოძებნოს.

რობინიოს გადაბირებას ყველაზე აქტიურად ბრაზილიური "სანტოსის" ხელმძღვანელობა ცდილობს. ამ კლუბისა და "მილანის" ხელმძღვანელობამ ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკება ჯერ კიდევ ამ ზაფხულს წამოიწყეს, მაგრამ ფინანსურ დეტალებზე ვერ მორიგდნენ.

"კლასიკოს" წაგება ყველაფრის წაგებას არ ნიშნავს

ესპანეთის ჩემპიონატის მომავალ ტურში "ბარსელონა" "რეალს" უმასპინძლებს. "კლასიკო" განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მომავალ "კლასიკოში" ფავორიტად "ბარსელონა" ითვლება. თანაც, "ბარსა" ამჟამად "რეალს" ქულების დიდი უპირატესობით უსწრებს და კიდევ სამი ქულა კარგ ჰანდიკაპს შეუქმნის. იმასაც ამბობენ, რომ თუ "ბარსამ" "კლასიკო" მოიგო, ფაქტობრივად ჩემპიონობას გაინაღდებსო. ამ აზრს არ იზიარებს სერხიო რამოსი.

"ელ კლასიკო" რომ წავაგოთ კიდეც, ჩემპიონატის ბედი გადაწყვეტილი მაინც არ იქნება. რა თქმა უნდა, 11 ქულა ძნელი აღმოსაფხვრელი იქნება, მაგრამ ისტორიაში ასეთი ფაქტები არცთუ იშვიათად მომხდარა. ახლა ჩემპიონთა ლიგაზე გადავერთოთ. "აიაქსთან" მატჩის შემდეგ "ბარსაზე" დავიწყებთ ფიქრს", - განაცხადა რამოსმა.

ახლა "რეალი" სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა, "ბარსელონა" კი გათამაშებას ლიდერობს. კლუბებს შორის სხვაობა 8 ქულაა.

"კლასიკომდე" ორივე გუნდს ჩემპიონთა ლიგის მატჩი აქვს გასამართი.

კონტეს დისკვალიფიკაციას შეუმცირებენ

ტურინის "იუვენტუსის" მწვრთნელის, ანტონიო კონტეს ათთვიანი დისკვალიფიკაცია, შესაძლოა, შემცირდეს. ხვალ რომში კონტეს საქმესთან დაკავშირებით სპეციალური მოსმენა გაიმართება. იტალიური მედიის ვარაუდით, ტურინელთა თავკაცის დისკვალიფიკაცია ათიდან ექვს თვემდე შემცირდება.

მესის ყველა მოგებული "კლასიკო" ახსოვს

მართალია, "კლასიკომდე" "ბარსელონას" და "რეალს" ჩემპიონთა ლიგის მატჩები აქვთ გასამართი, მაგრამ ორივე გუნდის ფეხბურთელები უკვე "კლასიკოზე" ფიქრობენ.

"რეალი" დიდი გუნდია, უმდიდრესი ისტორიით. ახლა მადრიდელებს ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავთ. პირადად მე "რეალთან" გამართული ყველა მატჩი მახსოვს, ისინი, რომლებიც მოვიგეთ. დასამალი არაფერია. "რეალის" დამარცხება ჩვენთვის განსაკუთრებული რამაა, "კლასიკოს" მოგების შემდეგ გუნდში საბრძოლო ჟინი მატულობს. თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი მატჩები, მიხვდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია "კლასიკოს" მოგება", - ამბობს მესი.

ბიელსამ ლორენტე გააგდო

ბილბაოს "ატლეტიკის" მთავარმა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ გუნდის ძირითადი ფორვარდი ფერნანდო ლორენტე ვარჯიშიდან გააგდო. არგენტინელ სპეციალისტს არ მოეწონა, თუ როგორ უდგებოდა 27 წლის ფორვარდი თავის მოვალეობებს. ბიელსასა და ლორენტეს შორის შავმა კატამ მას შემდეგ გაირბინა, რაც ფორვარდმა ბასკურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა.

ლუისის ტრანსფერი სეზონს არ აკნინებს

გიგა გურასაშვილი

ლუის ჰამილტონი გაისად «მერსედესის» საჭეს მიუჯდება

გასულ კვირას სამეფო რბოლებში ხმაური იყო - მაკლარენელი ლუის ჰამილტონი "მერსედესში" გადადისო. გადავიდა კიდეც, მაგრამ ახლა იმაზე საუბრობენ, რა გავლენას მოახდენს ეს ტრანსფერი "მაკლარენზე", რომელსაც წლის ბოლომდე რამდენიმე რბოლა აქვს ჩასატარებელი. მიმდინარე ჩემპიონატის დასრულებამდე - იაპონიის დიდ პრიზზე ბრიტანული საჯინიბო მაინც ფავორიტად ითვლება საბუკმეკერო კანტორებში. ასე რომ, წესით და რიგით, შაბათის კვალიფიკაციაზე ასეთი ავანსები გარკვეულწილად უნდა გამოიკვეთოს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პარასკევს ოფიციალურად გახმოვანდა ლუის ჰამილტონის მომავალი. ბრიტანელი "მაკლარენის" საჯინიბოს ტოვებს, საჯინიბოს, რომელშიც მისი დებიუტი შედგა 2007 წელს და აგერ უკვე ექვსი წელიწადია მათ ღირსებას იცავს. ამ ხნის განმავლობაში ჰამილტონმა მსოფლიო ჩემპიონობასაც გაუსინჯა გემო, მომავალი წლიდან კი იგივეს შეეცდება "მერსედესში", რომელთანაც სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ტრანსფერმა კი 100 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა!

ადრე გაცხადდა, რომ "მაკლარენში" ლუის ჰამილტონის ადგილს დაიკავებდა «ზაუბერი» მექსიკელი მესაჭე სერხიო პერესი, თავად ბრიტანელი კი "მერსედესში" შეცვლის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს, რომელიც, დიდი ალბათობით, კარიერას დასრულებს.

"ახალი გამოწვევის წინაშე ვდგავარ. ძალიან ვღელავ იმის გამო, რომ კარიერის ახალ ფურცელს გადავშლი "მერსედესის" გუნდში. "მერსედეს ბენცს" ავტოსპორტში განუმეორებელი მემკვიდრეობა აქვს. აქვს სწრაფვა გამარჯვებებისკენ, რასაც მეც ვიზიარებ. ჩვენ ერთად მივაღწევთ პროგრესს და თავს გავართმევთ გამოწვევებს. დარწმუნებული ვარ, "ვერცხლისფერ ისრებს" დავეხმარები ახალი სიმაღლეების მიღწევაში და, დარწმუნებული ვარ, ერთობლივად ბევრს მივაღწევთ მსოფლიო ჩემპიონატზე".

გერმანულ საჯინიბოში გადასვლით კმაყოფილებას არ ფარავს გუნდის ხელმძღვანელი როს ბრაუნი, რომლის თქმით, ლუისის მსგავს მრბოლთან თანამშრომლობა ფორმულა 1-ში "მერსედეს ბენცის" ავტორიტეტზე მიუთითებს. ამაყობს იმითაც, რომ ლუისი მათ ხედვას იზიარებს: "მიმაჩნია, რომ ლუისისა და ნიკოს (ჰიულკენბერგი) კომბინაცია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დინამიკური იქნება მომავალი სეზონში. მოუთმენლად ველი იმას, რისი ერთად მიღწევაც შეგვიძლია".

ამასობაში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი აცხადებს, რომ დარჩენილ რბოლებშიც შეინარჩუნებს მოტივაციას, მიუხედავად იმისა, რომ მომავალ სეზონში "მერსედესში" დაკარგავს მებრძოლი პილოტის ადგილს.

"გასულ კვირას გამჟღავნებული სიახლეების მიუხედავად, მოტივაცია სულაც არ დამიკარგავს, - თავდაჯერებულია შუმახერი. - იაპონიის დიდი პრიზი ჩემთვის სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს რბოლად რჩება. ასე რომ, სასურველი იქნება, თუ კარგ შედეგს მივაღწევ ამ უქმეებზე. სამწუხაროდ, მაღალი შედეგებისთვის ჩემი შანსები შეზღუდული იქნება, რადგან სასტარტო ბადეში ათსაფეხურიანი დაქვეითება მელის. და მაინც, მსგავს დაჯარიმებებს ყოველთვის ახალ გამოწვევად აღვიქვამდი. ამიტომ მოუთმენლად ველი იაპონიაში გამგზავრებას, სადაც შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოვწურო ბოლიდს".

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე